ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

1 ოქტომბრიდან!
„ახალი თაობა“ +
საქართველოს ისტორია
10 ლარი

5 — 6 სექტემბერი, 2013 | №236 (6237) | ფასი: 30 თეთრი

ნინო ბურჯანაძე: „ბიძინა ივანიშვილის ზურგს უკან გარიგებები ხდება“

გვ.5

გიორგი თარგამაძე: „ღარიბაშვილი ალასანიას არ ენდობა“

გვ.3

ქდმ-მ პარლამენტი უუნაროდ გამოაცხადა

დავით ბაქრაძე: „საპრეზიდენტო არჩევნებში მეორე ტური იქნება“

გვ.3

გვ.4

მე-13 პოლიკლინიკა შენობის გარეშე გაიყიდა



პარლამენტის ამშენებელი პასუხისგებაში მისცეს

გვ.3

მამუკა გიორგაძე: „საქართველოში სამართლიანობა როდის იყო, რომ მისი აღდგენა მოხდეს!“

გვ.4

გვ.2

ემზარ გოგუაძე: „ირაკლი ტრიპოლსკი ბორდის დაშლით დამემუქრა“

გვ.6

ელჩებმა რუსების ქმედება დაგმეს

ქართული ღვინის წინააღმდეგ დაწყებული კამპანია მთავრობის უმოქმედობაა!

შორენა გონგლაძე

ინტერვიუ ევრაზიის ინსტიტუტის ხელმძღვანელ გულბაათ რცხილაძესთან

– რუსულ ბაზარზე ქართული პროდუქციის დაბრუნება ნამდვილად შეიძლება, წინგადადგმულ ნაბიჯად ჩავთვალოთ ქართული ეკონომიკისთვის, იგივე შეიძლება ითქვას ტურიზმის კუთხითაც. წლევანდელ სეზონზე

რუსი ტურისტების განსაკუთრებული სიმრავლე შეინიშნებოდა.

– სავაჭრო ურთიერთობები საქართველოსა და რუსეთს შორის, მიუხედავად დიდი შეფერხებისა, თანდათან მაინც ვითარდება. კიდევ უფრო უკეთესი მაჩვენებლები არსებობს ტურიზმის სფეროში – ზაფხულში აჭარის კურორტები და თავად საქართველოს დედაქალაქი რუსეთიდან ჩამოსული ტურისტებით იყო სავსე. ჩვეულებრივი რუსი ადამიანები სიამოვნებით ეცნობოდნენ ჩვენს ქვეყანას. ბუნებრივია, ამასთან, მოიხმარდნენ ადგილობრივ კერძებსა და ღვინოებს. სასტუმრო-რესტორნების ქართველი მფლობელების გამოხმაურებების თანახმად, უცხოელ ტურისტთაგან არც ერთი მათგანი იმ ხალისითა და ისე ხელგაშლით არ ხარჯავს ფულს, როგორც რუსი ტურისტი. მალე გამოქვეყნდება კონკრეტული სტატისტიკა შესაბამისი სახელმწიფო დაწესებულებების მიერ, რომელიც დაადასტურებს აღნიშნულ მოსაზრებას.

– თუმცა გარკვეული პრობლემები აშკარაა, რომ არსებობს, წლების წინ დაკარგულ რუსულ ბაზარზე თავის დამკვიდრებაც არ იქნება იოლი.

– რუსეთში, ქართული ექსპორტის შეწყვეტის მომენტიდან მოყოლებული, ჩვენი პროდუქციის ნიშა რუსულ ბაზარზე სხვა მწარმოებლებმა დაიკავეს, რომლებიც არ არიან დაინტერესებულნი ქართული საქონლის, განსაკუთრებით კი ღვინოების წარმატებულ დაბრუნებაში აღნიშნულ ბაზარზე. მაგრამ, მათ გარდა, კიდევ არსებობენ რუსულ-ქართული პოლიტიკური, ეკონომიკური და ჰუმანიტარული კავშირების აღდგენის არაკეთილმოსურნეები. მათ დარტყმა რუსეთში ქართული ღვინის რენომეზე მიიტანეს. ამ მიზანს, მაგალითად, ემსახურება ვინმე „ბლოგერის“ – სოლომატინის სტატია, რომელიც ავტორიტეტულ რუსულ ინტერნეტ-გაზეთ „ვზგლიადში“ გამოქვეყნდა. აღნიშნულ სტატიაში ავტორი, აშკარად „ლიბერასტური“ იდეოლოგიის წარმომადგენელი, რომელსაც მოსწონს ყველაფერი დასავლური და არ მოსწონს ყოველივე არადასავლური, ცდილობს, „თვალები აუხილოს“ რუს ადამიანს, რომელმაც დიდი ხანია შეიყვარა ქართული ღვინოცა და თითქმის ყველაფერი, რაც საქართველოს უკავშირდება, თითქოს საქართველოში სინამდვილეში არ იციან ღვინის წარმოება, ხოლო რუსული ბაზრის გავსება უვარგისი ღვინოებით, წარწერით „დამზადებულია საქართველოში“, შემთხვევითობა კი არ არის, არამედ კანონზომიერებაა. დიახ, „ბლოგერი“ უმიზნებს სწორედ ქართულ ღვინოს, როგორც ასეთს და არა ფალსიფიცირებული პროდუქციის პრობლემას. გარდა ამისა, სტატიის ავტორი ცდილობს, დაამსხვრიოს მითი საქართველოზე, როგორც ქვეყანაზე, რომელშიც შეყვარებული იყო მრავალი გამოჩენილი რუსი მოღვაწე, რუსული ლიტერატურის კლასიკოსები. უფრო დაწვრილებით მკითხველს თავად შეუძლია ამ სოლომატინის ბოდვითი აზრების გაცნობა, რაც, საუბედუროდ, ავტორიტეტული გამოცემის მიერ იქნა გავრცელებული, რომელსაც მრავალი გადახდისუნარიანი რუსი მოქალაქე ეცნობა. პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ, მიუხედავად ქართული ღვინის მიმართ სტატიის ავტორის პრეტენზიების უსუსურობისა, საქმეში ჩაუხედავ მკითხველს შეუძლია დაიჯეროს მათი სამართლიანობა. ნებისმიერ შემთხვევაში, „ვზგლიადის“ საიტზე ნეგატიური სტატია მეტად ცუდი ანტირეკლამაა საქართველოსთვის, როგორც ღვინის მრავალი შესანიშნავი ჯიშის სამშობლოსი და, შესაბამისად, როგორც ტურისტული ქვეყნისა (იმდენად, რამდენადაც რუს ტურისტებს ჩვენ, პირველ ყოვლისა, ჩვენი გასტრონომიით ვიზიდავთ). ის, რომ ეს ასეა, მკითხველი დარწმუნდება სოლომატინის სტატიის ქვემოთ დატოვებული კომენტარების რაოდენობიდან გამომდინარე. ამდენ კომენტარს მძაფრ პოლიტიკურ თემებზეც არ აკეთებენ ხოლმე.

– რა არის ამ სიტუაციიდან გამოსავალი?

– ამ დროს გაუგებარია, თუ რას მოიმოქმედებს საქართველოს ხელმძღვანელობა. ერთი მხრივ, მთავრობა აქცენტს აკეთებს მეზობელ სახელმწიფოსთან სავაჭრო და ტურისტული კავშირების გამყარებაზე, მაგრამ, მეორე მხრივ, მთავრობა აშკარად ჩამორჩა ცხოვრებას და არ ესმის, რომ ასეთი საქმეები 21-ე საუკუნეში არ კეთდება საინფორმაციო-პროპაგანდისტული მხარდაჭერის გარეშე. სხვა სიტყვებით, საქართველოს სჭირდება რეკლამა რუსეთში – გაცილებით ნაკლები მოცულობით, ვიდრე ევროპასა და ამერიკაში, მაგრამ მაინც სჭირდება. ცხრაწლიანმა გამყინვარებამ უკვალოდ როდი ჩაიარა. სააკაშვილი და მისი ბანდა შეგნებულად და ბოროტი განზრახვით აფუჭებდნენ საქართველოს ხატს რუსების თვალში (ისევე, როგორც რუსეთის ხატს ქართველების თვალში), ქართული პროდუქციის იმიჯის ჩათვლით. საქართველო უნდა ჩამოშორებოდა რუსეთს და მთლიანად სხვა ქვეყნებზე აეღო ორიენტაცია, გამხდარიყო „ახალი სინგაპური“ და ასე შემდეგ. ამის მიუხედავად, საქართველო რუსეთში ახსოვთ, და საქართველოსკენ ლტოლვა რუსეთში ძლიერია, მაგრამ, არა იმდენად, როგორც ეს. „ვარდების რევოლუციამდე“ იყო. და, როგორც ვხედავთ, საქართველომ რუსეთში ახალი მტრები შეიძინა, რომლებთანაც ბრძოლაა საჭირო. ეს არც ისე რთულია, თუკი გამოვლენილი იქნება საამისო პოლიტიკური ნება და მთავრობა დაკავდება აღნიშნული პრობლემით. ამის გარეშე ვერ მიიღწევა მოსალოდნელი ეფექტი და ორმხრივ ეკონომიკურ ურთიერთობებში განხორციელებული პოზიტიური წინსვლა ნახევარ გზაზე გაჩერდება.

ემზარ გოგუაძე: „ირაკლი ტრიპოლსკი ბორდის დაშლით დამემუქრა“

შორენა გონგლაძე

ბოლო პერიოდის მნიშვნელოვანი მოვლენებიდან, რომლებიც საზოგადოების ინტერესს იწვევს, საზოგადოებრივი მაუწყებლის გარშემო შექმნილი ვითარებაა. არანაირად არ შეიძლება „მაუწყებელში“ მიმდინარე პროცესებში ხელისუფლების გავლენის გამორიცხვა. რაც არ უნდა უარყოს ხელისუფლებამ, სიტყვის თავისუფლებისა და დემოკრატიის მაღალ ხარისხზე დადოს თავი, მათი როლი ამ პროცესებში საკმაოდ დიდია, ეს, უბრალოდ, სიმართლეა და ამას ვერსად გავექცევით. ამის დასამტკიცებლად ეკა კვესიტაძისა და დავით პაიჭაძის გადაცემების წინასაარჩევნოდ დახურვაც საკმარისია, ისევე, როგორც ინგა გრიგოლიას უკვე გაკეთებული გადაცემის არგაშვება თითიდან გამოწოვილი სულელური მიზეზებით. რაც არ უნდა მიკერძოებული ყოფილიყვნენ კვესიტაძეც და პაიჭაძეც თავიანთი პოზიციებით, ფაქტია, რომ წინასაარჩევნოდ მათი ტელეეკრანებიდან ჩამოცილება და განეიტრალება ხელისუფლების პირდაპირ ინტერესებში იყო. ეს ყველაფერი კი იმაზე მიანიშნებს, რომ ახალი ხელისუფლებაც იმავეს გააკეთებს, რაც წინა ხელისუფლების დროს ხდებოდა. ასე რომ, ნურავის ექნება პრეტენზია იმაზე, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი რომელიმე ხელისუფლების დროს თავისუფალი სიტყვის გარანტად იყო და საზოგადოების ინტერესების სადარაჯოზე იდგა.

ფაქტია, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი, ხელისუფლების ცვლილებასთან ერთად, ერთი ჯიბიდან მეორე ჯიბეში გადადის. ბიძინა ივანიშვილს რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის რეორგანიზაცია ჯერ კიდევ ერთი წლის წინ ჰქონდა დაგეგმილი, ეს სადავო არ არის. „რეორგანიზაციის“ ერთ-ერთი ეტაპი კი უკვე ყოფილი „მე-9 არხის“ ძირარადღირებული აპარატურის გადაცემა იყო (ყველაფერს, რომ თავი დავანებოთ, რამდენიმემილიონიანი საჩუქრის ადრესატი, უბრალოდ, ვერ დაივიწყებს მიღებული სიკეთის მნიშვნელობასა და დანიშნულებას). როგორც ვიცით, აღნიშნული აპარატურა ჯერჯერობით დასაწყობებულია და პატრონს ელოდება. ის, აზრი, რომ აპარატურა სამი ათასი ლარით „აღჭურვილ“ ტელევიზიის შეძენის მსურველ სააქციო საზოგადოებას გადაეცემა, აბსურდია და სხვა არაფერი. სხვა დანარჩენი გვაფიქრებინებს, რომ ახალი ხელისუფლება საზოგადოებრივ მაუწყებელს ნელ-ნელა იმორჩილებს.

საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს ხელმძღვანელი ემზარ გოგუაძე აცხადებს, რომ სექტემბრის დასაწყისში ბორდის დაშლით უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი ირაკლი ტრიპოლსკი დაემუქრა. გოგუაძის განცხადებით, მაუწყებლის ბორდზე ხელისუფლების მხრიდან ზეწოლა ხორციელდება და ამ ფაქტებზე რეაგირებისთვის ის ირაკლი ტრიპოლსკიმ ხაშურში შეხვედრისას, მაუწყებლის ყოფილი გენერალური დირექტორის გიორგი ბარათაშვილისადმი უნდობლობის გამოცხადების საკითხის თაობაზე გადარწმუნება სცადა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ბორდის დაშლით დაემუქრა. ამასთან, ემზარ გოგუაძემ ბორდის წევრებზე ზეწოლის შესახებაც ისაუბრა. მისი ინფორმაციით, გიორგი ბარათაშვილის მიმართ უნდობლობის გამოცხადებამდე მასთან კაბინეტში იმყოფებოდა ე.წ. ოდეერი ირაკლი ციბაძე, ხოლო ბორდის წევრ ავთანდილ ანთიძეზე ზეწოლას მაღალჩინოსნები ახორციელებდნენ. ემზარ გოგუაძის ინფორმაციით, ავთანდილ ანთიძე არის მძიმედ ავადმყოფი, მას ესაჭიროება გულის ოპერაცია, საავადმყოფოში მასთან მაღალჩინოსნები დადიოდნენ და ბორდის დატოვების სანაცვლოდ მაღალანაზღაურებად სამსახურს სთავაზობდნენ. გოგუაძის ინფორმაციით, ანთიძე მას დაცვასა და შს მინისტრთან შეხვედრას სთხოვდა, თუმცა, ბორდის თავმჯდომარის ინფორმაციით, მას მინისტრისგან პასუხი არ მიუღია და ერთადერთი, ვინც გოგუაძესთან შეხვედრა ისურვა, მთავარი პროკურორი არჩილ კბილაშვილი იყო. ემზარ გოგუაძის ინფორმაციით, ზეწოლის მცდელობაზე საუბრობს ბორდის კიდევ ერთი წევრი, ნინო დანელია. გოგუაძის თქმით, მაუწყებელს ფინანსური პრობლემები შეექმნება, თუმცა დღეს დარჩენილია თანხა იმისათვის, რომ ხელფასები გაიცეს.

– სექტემბერში მე შემხვდა ჩემთვის ნაცნობი დეპუტატი, რომელმაც სცადა ჩემი გადარწმუნება და, თუ არ შევცვლიდი პოზიციას, ბორდის დაშლით დამემუქრა. ეს იყო ბატონი ირაკლი ტრიპოლსკი. ამ ყველაფრის შემდეგ მაუწყებელში გამოცხადდა ე.წ. ოდეერი ირაკლი ციბაძე. მე მაინტერესებს დღემდე, ვინ არის ეს ადამიანი? შსს-ში ამბობენ, რომ ეს მათი თანამშრომელი არ არის. ფაქტია, ბორდის წევრებზე ზეწოლა ხორციელდება, ავთანდილ ანთიძე მეხვეწებოდა, შევხვედროდი შსს მინისტრს. ამ ადამიანს აქვს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები. ის ამბობდა, რომ მასთან დადიოდნენ ხელისუფლების წარმომადგენლები, სთავაზობდნენ ანაზღაურებად სამსახურს გაზკანტორაში. ასევე ჩვენ გვაქვს ნინო დანელიას მიმოწერები მეილზე, სადაც ის მასზე განხორციელებულ ზეწოლის ფაქტებზე საუბრობს, – აცხადებს ემზარ გოგუაძე და დასძენს, რომ ამ საკითხებთან დაკავშირებით ის მთავარ პროკურორ არჩილ კბილაშვილს შეხვდა, თუმცა – უშედეგოდ.

როგორც ემზარ გოგუაძე ირწმუნება, მაუწყებლის გენერალურმა დირექტორმა თამაზ ტყემალაძემ ბორდს სერენადების სიმღერის შესრულებისკენ მოუწოდა.

– თამაზ ტყემალაძემ მითხრა, ბორდი დაიშალა და ამიერიდან სერენადები იმღერეთო. მე მინდა, მას აქედან უპასუხო, რომ სიმღერა არ მეხერხება, არ მაქვს სერენადების შესრულების ნიჭი, – აცხადებს გოგუაძე.

ემზარ გოგუაძე ეჭვობს, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის ბორდის წევრების სატელეფონო საუბრები ისმინება.

– ბოდის წევრებს გვაქვს ეჭვი, რომ ჩვენს სატელეფონო საუბრებს უსმენენ და დაშიფრული სახით ის შედის თამაზ ტყემალაძის კაბინეტში, – აცხადებს გოგუაძე და „მაუწყებელში“ შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით პასუხისმგებლობას ხელისუფლებას აკისრებს.

ნინო დანელიამ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ბორდის დატოვებასთან დაკავშირებით „ფეისბუქზე“ პოსტი გამოაქვეყნა, სადაც ადასტურებს, რომ მას მართლაც ურეკავდნენ და საბჭოს დატოვებას სთხოვდნენ.

– რადგან ბევრმა მკითხეთ, ვიფიქრე, პირდაპირ აქ დამედო: ვადასტურებ, რომ მირეკავდნენ და კატეგორიულად მთხოვდნენ საბჭოს დატოვებას, ასევე მეუბნებოდნენ, რომ საბჭოს სხვა წევრებთანაც ჰქონდათ ამავე საკითხზე ინტენსიური საუბარი. ამ ადამიანებს არ ვასახელებ, რადგან ყველა საუბარი პირადი იყო. საზოგადოებისთვის ასევე ცნობილია, რომ უშიშროების თანამშრომელი ემზარ გოგუაძეს, საბჭოს თავმჯდომარეს, აშანტაჟებდა მის კაბინეტში. ავთანდილ ანთიძეს შესთავაზეს მაღალანაზღაურებადი სამსახური საბჭოდან გასვლის სანაცვლოდ. ამ ფონზე საბჭოდან გავიდა საბჭოს კიდევ ერთი წევრი, ეკატერინე მაზმიშვილი. რადგან ჩემთვის დღეს, ზუსტად ისევე, როგორც ნაციონალების მმართველობის დროს, უმნიშვნელოვანესია საზოგადოებრივი მაუწყებლის პოლიტიკური დამოუკიდებლობა, არ ვაპირებ საბჭოს დატოვებას, თუმცა საბჭო თავის ფუნქციას ვეღარ შეასრულებს, რადგან გადაწყვეტილების მისაღებად, ახლანდელი კანონის მიხედვით, 8 ხმაა საჭირო, რაც ნიშნავს იმას, რომ ბიუჯეტი ვერ დამტკიცდება, ტელევიზიის თანამშრომლებს ნოემბრიდან ხელფასის მიღების პრობლემა დაუდგებათ, ახალი დირექტორი ვერ აირჩევა ახალი საბჭოს არჩევნებამდე. ბუნებრივია, შექმნილ ვითარებაზე პასუხს საბჭოს დარჩენილი წევრები ვერ აგებენ, – წერს დანელია.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

პარლამენტის ამშენებელი პასუხისგებაში მისცეს

შორენა მარსაგიშვილი

ქუთაისის პარლამენტის შენობა ცოდვიან ადგილზეა აშენებული. მიხეილ სააკაშვილის ახირების გამო, ჯერ ქუთაისში მდებარე მემორიალი ააფეთქეს, რომელიც მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა სახელზე იყო აშენებული. ამ ბარბაროსობამ 2 ადამიანის სიცოცხლეც შეიწირა. მემორიალის აფეთქებისას დედა-შვილი დაიღუპა.

ამ ტრაგედიამ სააკაშვილი ვერ შეაჩერა. ის დაჩქარებული ტემპით ითხოვდა პარლამენტის შენობის აშენებას. მისი მოთხოვნით პარლამენტის შენობაში უნდა დაეწყო მუშაობა ახალ პარლამენტს. საქართველოს პრეზიდენტს მაშინ ეგონა, რომ საპარლამენტო არჩევნებს მისი ნაქები და ნაფერები ნაცმოძი მოიგებდა. სხვა ძალის გამარჯვებაში ოდნავი ეჭვი რომ ჰქონოდა, თავს ასე არ გაიგიჟებდა.



შენობის მშენებლობა დაჩქარებული ტემპით მიდიოდა და ამიტომაც არის ახლა, რომ ყოველი წვიმის შემდეგ პარლამენტშიც კოკისპირულად წვიმს. დეპუტატების დიდ ნაწილს თბილისში სურს დაბრუნება, მაგრამ კონსტიტუცია ამის უფლებას არ აძლევს. პრეზიდენტმა კონსტიტუციაში ცვლილებებიც შეატანინა და საპარლამენტო ქალაქად ქუთაისი გამოაცხადა. ნაცმოძის მტკიცებით, ეს შენობა ქუთაისს ააყვავებდა. პარლამენტი სავარდო და სამაისო ქალაქში ერთი წელია, რაც ფუნქციონირებს, მაგრამ, ისე აყვავდეს თქვენი მტერი, როგორც ამან ქუთაისი ააყვავა.

მეოცნებეები ახლო მომავალში თბილისში აპირებენ დაბრუნებას, ოღონდ მანამდე თბილისში მდებარე პარლამენტის შენობა უნდა შეაკეთონ. გასულ წელს ეს შენობა მთლიანად დალეწეს. კობა დავითაშვილის მტკიცებით, ეს დავით ბაქრაძის მითითებით გაკეთდა. ამის გამო დეპუტატი პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარის პასუხისგებაში მიცემას ითხოვს.

საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ დავით ბაქრაძეს პასუხისგებაში არავინ მისცემს. სამაგიეროდ, ის პირი მისცეს პასუხისგებაში, რომელმაც ეს შენობა ააშენა.

გუშინ ცნობილი გახდა, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა დიდი ოდენობით სახელმწიფოს კუთვნილი ფულადი თანხების თაღლითურად დაუფლების ფაქტზე სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს შპს „მენო ინტერნეიშენალის“ დამფუძნებელი და დირექტორი გიორგი კურცხალია.

გამოძიების ცნობით, 2010 წლის 17 მარტს, შპს „მენო ინტერნეიშენალს“ ერთ პირთან მოლაპარაკების წესით გაუფორმდა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ქუთაისში პარლამენტის შენობის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების განხორციელებაზე. ხელშეკრულების ფარგლებში, ეტაპობრივად, შპს „მენო ინტერნეიშენალს“ სახელმწიფო ბიუჯეტიდან ჩაერიცხა 281 000 000 ლარი.

– სამუშაოების მიმდინარეობისას გიორგი კურცხალიამ დიდი ოდენობით საბიუჯეტო თანხების თაღლითურად დაუფლების მიზნით, პირდაპირი დანახარჯების ხელოვნურად გასაზრდელად, ხიმინჯების მოწყობაზე ქვეკონტრაქტი გაუფორმა მისსავე გამგებლობაში არსებულ შპს „გ.ს.კ.“-ს, რითაც ერთი გრძივი მეტრი ხიმინჯის ფასი, 690 ლარი, ხელოვნურად გაიზარდა 1200 ლარამდე. ერთიანობაში უნდა შესრულებულიყო 22 351 გრძივი მეტრი ხიმინჯების მოწყობის სამუშაოები, რისთვისაც შპს „მენო ინტერნეიშენალმა“ სახელმწიფო ბიუჯეტიდან მოითხოვა და მიიღო 34 074 998 ლარი, მაშინ როდესაც ხიმინჯების მოწყობის სამუშაოების ფაქტობრივი ღირებულება შეადგენდა 22 462 529,6 ლარს. მითითებული ხერხით, გიორგი კურცხალია თაღლითურად დაეუფლა სახელმწიფოს კუთვნილ 11 612 469 ლარს, – აცხადებენ საგამოძიებო სამსახურში.

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ცნობით, 2007 წლის 21 მარტს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და შპს „მენო ინტერნეიშენალს“ შორის ერთ პირთან მოლაპარაკების წესით გაფორმდა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ, თბილისში აბაშვილის ქ. №3-ში თავდაცვის სამინისტროს ოფიცერთათვის განკუთვნილი თვრამეტი მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობაზე. ხელშეკრულების ფარგლებში, შპს „მენო ინტერნეიშენალს“ სახელმწიფო ბიუჯეტიდან ჩაერიცხა 56 497 662 ლარი.

– სამუშაოების შესრულებისას გიორგი კურცხალიამ, პირდაპირი დანახარჯების ხელოვნურად გასაზრდელად, ზემოაღნიშნული მშენებლობისათვის აუცილებელი საპროექტო სამუშაოებისათვის, ქვეკონტრაქტი გააფორმა მისსავე გამგებლობაში არსებულ შპს „მაგი სტილ“-თან, რისთვისაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხიდან, 3 060 000 ლარი გადაურიცხა შპს „მაგი სტილს“, მაშინ როდესაც პროექტით ასაშენებელი კორპუსები იყო იდენტური და საპროექტო სამუშაოების რეალური ღირებულება შეადგენდა 1 020 141 ლარს. ამავდროულად, თავდაცვის სამინისტროს ოფიცერთა მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობისას გიორგი კურცხალიამ ხელოვნურად გაზარდა ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოთა ღირებულება, რითაც მთლიანობაში თაღლითურად დაეუფლა სახელმწიფოს კუთვნილ 4 944 479 ლარს, – აცხადებენ საგამოძიებო სამსახურში.

ფინანსთა სამინისტროს ცნობით, გიორგი კურცხალიას ქმედებებით, სახელმწიფოს ერთიანობაში 16 556 948 ლარის მატერიალური ზიანი მიადგა.

საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მესამე ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 6-დან 9 წლამდე ვადით.

შეგახსენებთ, რომ ქუთაისში პარლამენტის მშენებლობას ახორციელებდა კომპანია „მენო ინტერნეიშენალის“ ქვეკონტრაქტორი ფირმა „მაგი სტილი“. ორივე კომპანიის მფლობელები არიან: ირაკლი ჩიქოვანი (საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ყოფილი თავმჯდომარე), გიორგი გეგეშიძე (ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ყოფილი დირექტორი) და გიორგი კურცხალია.

დავით ბაქრაძე: „საპრეზიდენტო არჩევნებში მეორე ტური იქნება“

შორენა მარსაგიშვილი

სრულიად საქართველო საპრეზიდენტო არჩევნების მოლოდინშია. ამ პოსტის დასაკავებლად 23 კანდიდატი იბრძვის, თუმცა გამარჯვების რეალური შანსი მხოლოდ სამს აქვს. ესენი არიან: გიორგი მარგველაშვილი, ნინო ბურჯანაძე და დავით ბაქრაძე.

ექსპერტების უმეტესობა მიიჩნევს, რომ გამარჯვებულის გამოსავლენად მეორე ტურის ჩატარება გახდება საჭირო. ამაში ეჭვი არც დავით ბაქრაძეს ეპარება. მართალია, არჩევნებამდე რამდენიმე კვირაა დარჩენილი, მაგრამ ის უკვე მეორე ტურისთვის ემზადება. ის იმასაც ამტკიცებს, რომ რაც დრო გადის, მისი რეიტინგი იზრდება.

– ჩემი მხარდაჭერა იზრდება და, ძალიან მაღალი ალბათობით, არჩევნებში მეორე ტურს უნდა ველოდოთ, – დაუფარავი თავდაჯერებით განუცხადა ჟურნალისტებს დავით ბაქრაძემ.

ნაციონალების საპრეზიდენტო კანდიდატის თქმით, ეს ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული ორგანიზაციაა, რომელიც ამერიკის დემოკრატიულ პარტიას ემსახურება და კვლევებს ძალიან ბევრ ქვეყანაში ატარებს.

– მე არ მაქვს საფუძველი, რომ კვლევის შედეგებში ეჭვი შევიტანო, მით უმეტეს, რომ ის საკმაოდ ახლოს დგას ენ-დი-აი-ს კვლევის მონაცემებთან, უბრალოდ, დროში განსხვავების გამო გამოიკვეთა დინამიკა, რომლითაც მე კმაყოფილი ვარ და ეს დინამიკა აჩვენებს, რომ ჩემი მხარდაჭერა

იზრდება და ძალიან მაღალი ალბათობით, არჩევნებში მეორე ტურს უნდა ველოდოთ, – განაცხადა ბაქრაძემ.

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის დაკვეთით ამერიკულმა კვლევითმა კომპანიამ „გრინბერგ, ქუინლან, როზნერ რისერჩმა“ 15-21 სექტემბერს მთელი ქვეყნის მასშტაბით ჩაატარა კვლევა. სულ გამოიკითხა 1,204 რესპონდენტი.

კომპანია „გრინბერგ, ქუინლან, როზნერ რისერჩის“ კვლევის თანახმად, საპრეზიდენტო კანდიდატებს შორის 43%-ით „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი ლიდერობს. გამოკითხულთა 22% დავით ბაქრაძეს უჭერს მხარს, 8% – ნინო ბურჯანაძეს, 5% – შალვა ნათელაშვილს, 1% – გიორგი თარგამაძეს, ასევე 1% – კობა დავითაშვილს. გამოკითხულთა 17%-ს ჯერ არ გადაუწყვეტია, ვის დაუჭერს მხარს საპრეზიდენტო არჩევნებში.

დავით ბაქრაძემ გუშინ ციხეებში შექმნილ ვითარებაზეც ისაუბრა. კახეთის საინფორმაციო ცენტრმა 4 ოქტომბერს ბაჩო ახალაიას საკანში გადაღებული ფარული ვიდეომასალა გაავრცელა. მასალა გადაღებულია სასჯელაღსრულების №7 დაწესებულებაში. მასში ჩანს, როგორ შედიან ახალაიასთან ციხეების საზოგადოებრივი მონიტორინგის ჯგუფის წევრები, ასევე დეპუტატი აკაკი მინაშვილი. ვიდეო მოიცავს მათთან საუბრებსაც.

მასალა შეიცავს ბრალდებულის ყოველდღიური ცხოვრების ამსახველ კადრებს. ვიდეომასალა, კახეთის საინფორმაციო ცენტრის ცნობით, 2012 წლის ნოემბერშია ჩაწერილი და რამდენიმესაათიანია, თუმცა ცენტრმა მხოლოდ ფრაგმენტები გამოაქვეყნა.

სასჯელაღსრულების დეპარტამენტში აცხადებენ, რომ ბაჩო ახალაიას საკანში ვიდეო და აუდიო მეთვალყურეობა მისი თანხმობით ხორციელდებოდა. ახალაიას ადვოკატები კი აღნიშნულ ინფორმაციას უარყოფენ და განმარტავენ, რომ ახალაია საკანში მხოლოდ ვიზუალურ კონტროლს დათანხმდა. ადვოკატები ითხოვენ, ვიდეო-აუდიო ჩანაწერის გაკეთების მიზეზები პროკურატურამ გამოიძიოს.

ამ ფირების გავრცელებამ დავით ბაქრაძე ააღელვა. მისი თქმით,

ციხეებში არსებული სიტუაცია, როგორც ჩანს, დღესაც არ იძლევა დამშვიდების საფუძველს.

– ციხეებში არსებული ვითარება წინა წლების განმავლობაში ყველაზე დიდი და მწვავე პრობლემა იყო. ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე მწარე გაკვეთილი, რომელიც ჩვენ მივიღეთ წინა წლებიდან. ვწუხვარ, რომ, როგორც ჩანს, იქ არსებული სიტუაცია დღესაც არ იძლევა დამშვიდების საფუძველს. ამიტომ, ვფიქრობ, ეს ის თემაა, სადაც ერთმანეთზე გადაბრალებისა და ნიშნის მოგების მაგივრად უნდა გავიაზროთ, რომ ყველამ უნდა გადავდგათ ნაბიჯი, რათა ერთხელ და სამუდამოდ ციხეში არსებული პრობლემები მოისპოს, – აღნიშნა ბაქრაძემ.

საინტერესოა, დავით ბაქრაძე რატომ იყო მშვიდად აქამდე. რატომ ერთხელ მაინც არ შეშფოთდა ციხეებში არსებულ საშინელ ვითარებაზე. მიზეზი მარტივია, მაშინ ის ხელისუფლებაში იყო. არადა, ციხეებში მაშინ ხდებოდა საშინელებები, თუ ხდებოდა.

გიორგი თარგამაძე: „ღარიბაშვილი ალასანიას არ ენდობა“

ქდმ-მ პარლამენტი უუნაროდ გამოაცხადა

შორენა მარსაგიშვილი

თალიბანის სახელთ გავრცელებული ვიდეორგოლი ჩვენში ისევ განსჯის საგანია. 6 ივნისს გავრცელებული კადრების საიდუმლო შსს-მ 2 დღის წინ გაამხილა. ამ ვერსიის ზოგს სჯერა, ზოგს – არა.

ამ ვერსიების გამო ერთმანეთს ნაციონალებიც კი დაუპირისპირდნენ. გიგი უგულავამ განაცხადა, რომ ის შსს-ს ვერსიას ენდობა. ამის გამო ის კობა ხაბაზმა მწარედ გააკრიტიკა. როგორც ამბობენ, ბოლო ხანებში უგულავა მეოცნებესავით იქცევა.

გახდება თუ არა უგულავა მეოცნებე, ვერ გეტყვით, სამაგიეროდ, ეჭვი არავის ეპარება, რომ თავდაცვისა და შს მინისტრები ერთმანეთთან დაპირისპირებული არიან. ეს ამბავი თალიბანის ვიდეომაც დაადასტურა. ირაკლი ალასანიამ ორჯერ დაგმო ირაკლი ღარიბაშვილის უწყება და განაცხადა, თუ შსს ვერ იძიებს ამას, თავდაცვა გამოვიძიებთო. პირველ ჯერზე ღარიბაშვილმა სეხნიასა და კოლეგას დაუბარა, ყველამ თავის სამინისტროს მიხედოსო. ალასანიას მეორედ გაკეთებულ განცხადებაზე შსს-მ საგანგებო განცხადება გაავრცელა, საიდანაც გავიგეთ, რომ საქმე გამოძიებულია.

ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის ლიდერი გიორგი თარგამაძე დარწმუნებულია, რომ ღარიბაშვილი ალასანიას არ ენდობა და სწორედ ამიტომ არ იცოდა თავდაცვის მინისტრმა ახალი ამბავი. თარგამაძე იმასაც ეჭვობს, რომ თალიბანის ვიდეოს ავტორს საქართველოში მეკავშირეები ჰყავდა.

– ჩემი ეჭვი უკავშირდება ვერსიის ერთ-ერთ მონაკვეთს, სადაც აცხადებენ, რომ სოხუმიდან მალაიზიის არქივის გავლით მოხდა ვიდეოს ატვირთვა. ვიდეო მაღალი ხარისხით იყო დამზადებული. მე, როგორც ყოფილ ჟურნალისტს, ეჭვი მაქვს, რომ თუ რგოლმა ამდენი გზა გაიარა ატვირთვამდე, ასეთი ხარისხის არ იქნებოდა. აღნიშნული ვიდეო თბილისში თუ არა, მინიმუმ ქართველი თანამზრახველების დახმარებით გაკეთდა. იმ ყირგიზ ბიჭუნას წარმოდგენა რომ არა აქვს საერთოდ საქართველოს შიდა პოლიტიკაზე და ამ კადრების მნიშვნელობა არ იცოდა, ორი აზრი არ არსებობს. მას, მინიმუმ, ქართველი მეკავშირეები ჰყავდა. აქ ადგილი აქვს ორგანიზებული დამნაშავეების ჯგუფს, რომელსაც ქართველი მოკავშირეები ჰყავდა. როდესაც თავდაცვის მინისტრი საქმის კურსში არ არის და ჟურნალისტებისგან იგებს გამოძიების შედეგებს. ეს მეტყველებს იმაზე, რომ მთავრობაში არ არის კომუნიკაცია საკვანძო ფიგურებს შორის და არის ნდობის პრობლემა. ღარიბაშვილი ალასანიას არ ენდობა. პრემიერი თავდაცვის მინისტრს რომ ერთი თვის განმავლობაში საქმის კურსში არ აყენებს, ნიშნავს, რომ ჩვენი მთავრობა მორყეული და მონგრეულია, – განაცხადა გიორგი თარგამაძემ „რეპორტიორის“ პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე.

საზოგადოებაში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია იმან, რომ მთავრობასა და პარლამენტს დაფინანსება ეზრდებათ. ამით გიორგი თარგამაძეც უკმაყოფილოა.

– პენსიების ზრდა ხდება იმის პარალელურად, როდესაც პარლამენტს მინიმუმ ხუთი მილიონით ეზრდება სახელფასო ხარჯები. ხელისუფლება, იმის მაგივრად, რომ ხალხზე იფიქროს, სახელფასო ხარჯებს ზრდის. აქედან გამომდინარე, ღარიბ ხალხს ძვირი მთავრობა გვეყოლება. ის საკითხი, რომელსაც წლების განმავლობაში სააკაშვილის ხელისუფლებას ვუწუნებდით დღეს შეგვიძლია, კიდევ უფრო მწვავედ დავუყენოთ ამ მთავრობას. ეტყობა, მათ არ იციან, რომ საქართველოში 600 ათას ადამიანს დღის განმავლობაში ყველაფრის საყიდლად შეუძლია მხოლოდ 2 ლარის დახარჯვა. ესენი არიან ადამიანები, რომლებიც სასურსათო გენოციდის ცხოვრებით ცხოვრობენ. გადავხედოთ მთავრობის ახალ მანქანებს, რამდენი იხარჯება მათ სატელეფონო კავშირებზე და ა.შ. ვიმედოვნებდი, 2014 წლის ბიუჯეტში მაინც გაიწერებოდა ეს სოციალური დახმარებები და პენსიების ზრდა. მაგრამ მთავრობა ამაზე არც ფიქრობს. საპრეზიდენტო ხარჯები ნორმაზე მეტია. იმ ფონზე, როდესაც მოსახლეობა უკიდურეს გაჭირვებაში ცხოვრობს, საქართველოს პრეზიდენტის ბიუჯეტი უნდა შემცირდეს.

გიორგი თარგამაძემ მომავალი წლის ბიუჯეტზეც ისაუბრა. პრეზიდენტობის კანდიდატი აღშფოთებულია იმით, რომ 2014 წლის ბიუჯეტი არანაირ სოციალურ პროგრამებსა და პენსიების ზრდას არ ითვალისწინებს.

– ბიუჯეტი დეფიციტს განიცდის. სწორედ ამიტომ პარლამენტი არაქმედებაუნარიანია. სახელმწიფომ დადო პირობა, რომ ასაკობრივი პენსია იქნებოდა 250 ლარი. მინდა ვუთხრა მოსახლეობას, რომ ხელისუფლება თაღლითობს, იტყუება და გამოხატულება არის საკანონმდებლო წინადადების იგნორირება საარსებო მინიმუმის ზრდასთან დაკავშირებით. დაპირება იყო ისიც, რომ ჩვენ უნდა გვქონოდა უკეთესი ბიუჯეტი, ამ დროს გეგმურ 350-მილიონიან დეფიციტს განვიცდით. მარტივად რომ ვთქვათ, მთავრობას ექნება ათი ლარი და მოსახლეობისთვის 13 ლარის დახარჯვას ფიქრობს. ამგვარი პრობლემების ფონზე, მოსახლეობას ძალიან გაუჭირდება. 2014 წელს მთავრობა აპირებს ახალი ვალის აღებას. ამ პროექტით ბიუჯეტს მინიმუმ 450 მილიონი სახაზინო ვალი ემატება. ერთმნიშვნელოვნად მინდა გითხრათ, რომ წარმოდგენილი ბიუჯეტის ვარიანტი ოდნავ კრიტიკასაც ვერ უძლებს. მაგრამ ეს ყველაფერი არ არის. თვე-ნახევრის განმავლობაში საქართველოს პარლამენტი არ იმუშავებს. პარლამენტი აჩერებს მოღვაწეობას. ამ დროს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხები გადაუწყვეტელია. ჩვენ არაქმედებაუნარიანი პარლამენტი გვყავს, – განაცხადა ქდმ-ს ლიდერმა.

მე-13 პოლიკლინიკა შენობის გარეშე გაიყიდა

მერი ნამორაძე

პირველადი ჯანდაცვის ობიექტების გაყიდვა-გასხვისებებში კორუფციული სქემების არსებობაზე ლამის ყველა საუბრობს, მაგრამ შესაბამის ორგანოებს ჯერჯერობით სქემები არ გაუხსნიათ. თბილისის საკრებულო პოლიკლინიკების გასხვისების საკითხით ინტერესდება. გუშინ ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომაზე მე-13 პოლიკლინიკასა და „შუა ქალაქში“ შექმნილი ვითარება განიხილეს. სხდომაზე მიწვეული იყვნენ ინვესტორი, ქონების მართვის სააგენტო, რომელიც არ გამოცხადდა და ამ მიზეზით საკრებულოს წევრთა რისხვაც დაიმსახურა. ასევე თავად პოლიკლინიკების თანამშრომლები, მერიდიან კი საკრებულოს მამუკა ქაცარავა სტუმრობდა.

საკრებულო დაინტერესდა, რამდენად ასრულებდა ინვესტორი კახა ლომსაძე საინვესტიციო პირობებს. ჯერჯერობით თანხა, რომელიც მის მიერ დაფუძნებულ კომპანიას უნდა გადაეხადა პოლიკლინიკებში, გადახდილი არ არის, ვადა კი ამა წლის დეკემბერში იწურება. პოლიკლინიკებში შექმნილი ვითარებით საკრებულოს სარევიზიო ჯგუფი დაინტერესდა, რომლის წევრმა გია ნადარეიშვილმა განაცხადა, რომ ვიდრე თანხა არ იქნება გადახდილი, პოლიკლინიკები ვერ გასხვისდება. ამჟამად მე-13 პოლიკლინიკის შენობა კვლავ მუნიციპალიტეტს ეკუთვნის, „შუა ქალაქის“ შენობა კი გასხვისებულია – 507 კვადრატული მეტრი გადაცემულია მე-13 პოლიკლინიკაზე.

საკრებულოს წევრები ქონების მართვის სააგენტოსა და ინვესტორს შორის საეჭვო გარიგებაზე საუბრობენ. როგორც გულიკო ზუმბაძემ აღნიშნა, ქალაქში საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის სრულფასოვნად განხორციელების შემაფერხებელი ფაქტორი ის არის, რომ ყველა პოლიკლინიკა გასხვისებულია. ერთი პრეცედენტი მაინც უნდა შეიქმნას იმისა, რომ რომელიმე პოლიკლინიკა დაუბრუნდეს ქალაქს და მუნიციპალური საკუთრება გახდეს.

პოლიკლინიკების თანამშრომელთა მიმართ ბრალდებები აქვს ინვესტორსაც. „ახალი თაობა“ პოლიკლინიკების თანამშრომლებსა და ინვესტორს ესაუბრა:

მე-13 პოლიკლინიკის დირექტორი ხათუნა კერესელიძე:

– ამჟამად სოლიდარობას ვუცხადებთ „შუა ქალაქის“ კოლექტივს, რომელთაც მოულოდნელად გამოუცვალეს დირექტორი. ქონების მართვის სააგენტო აცხადებს, რომ დაინიშნა პოტენციური მმართველის კანდიდატურა – მიქაუტაძე. არ ვიცით, ვინ არის ეს ბატონი, რა პროფესიის ადამიანია, რას წარმოადგენს. რამდენიმე დღის წინ თვითონ დაწესებულებამ ჩაატარა არჩევნები, აირჩიეს საკუთარი კანდიდატურა. ამის საპასუხოდ ძალიან სასწრაფოდ მოწვეულ იქნა ქალაქ თბილისის მთავრობის სხდომა და არჩეულ იქნა მიქაუტაძე. ამას აპროტესტებენ, აქციები აქვთ დაწყებული „შუა ქალაქის“ თანამშრომლებს.

ჩვენ, მე-13 პოლიკლინიკა, გავიყიდეთ შენობის გარეშე. ვაპროტესტებთ ამას და საჯაროდ ვაცხადებთ, რომ იმ ფართის (რუსთაველის №28) დატოვებას არ ვაპირებთ. 900 კვადრატული მეტრის მაგივრად გვთავაზობენ 170 კვადრატულ მეტრს აბსოლუტურად მოუწესრიგებელ ლაღიძის №8-ში, „შუა ქალაქის“ ტერიტორიაზე. ეს იმას ნიშნავს, რომ უნდა გამოყაროთ ჩვენი კოლეგები ოთახებიდან და ისე გავაგრძელოთ სამედიცინო საქმიანობა.

ელიზბარაშვილი მანანა, „შუა ქალაქის“ ექიმი:

– ჩვენს დაწესებულებას საფრთხე ემუქრება. გაიყიდა 2 დაწესებულება ერთი შენობით, რომელიც არის კორუფციული სქემის ნაწილი. ამას აღარავინ მალავს. აღძრული გვაქვს საქმე სხვადასხვა ინსტანციაში, რომელთა დასკვნა არ მიგვიღია. მოვითხოვთ, არ მოხდეს არანაირი ცვლილება, არანაირი დირექტორის შეცვლა, რასაც ახლა აკეთებენ, რომ ვითომ სავარაუდო მფლობელის კანდიდატურა მოჰყავთ და ფინანსების განკარგვა და დაწესებულების ბანკში ჩადება მოხდება, ყველანაირი პროცესი უნდა შეჩერდეს დასკვნის დადებამდე. სასამართლოშიც არის სარჩელი შეტანილი, პროკურატურაშიც, ფინანსურ პოლიციაშიც. ჩვენი ობიექტი გაიყიდა არჩევნების შემდეგ – 2012 წლის ნოემბერში. ერთი წელია ვიბრძვით, მოვითხოვთ ხელისუფლებისგან, სავარაუდო მფლობელისგან, ყველასგან, შეაჩერონ ყოველგვარი ქმედება და დაელოდონ დასკვნებს. კიდევ ვიმეორებ, ეს არის დიდი კორუფციული სქემა, იმავე სავარაუდო მფლობელმა მაისში შეიძინა 5 ობიექტი ასევე მერიისგან პრეზიდენტის პირდაპირი განკარგვით, სადაც თანხა არ გადაიხადა და ერთი თვის შემდეგ გაასხვისა წილები, შემოიყვანა სხვა მფლობელები და თვითონ გამოვიდა იმ წილიდან. მერე ნოემბერში იყიდა 2 დაწესებულება და დღემდე კაპიკი ფული არ აქვს გადახდილი.

კახა ლომსაძე, ინვესტორი:

– ქონება აუქციონის წესით გასხვისდა. ვალდებულებაში გვიდევს ის, რომ 5 წელი უნდა მოვემსახუროთ ბენეფიციარებს. რაც შეეხება თანხის დაფარვას, გვაქვს გრაფიკი, რომელიც მთავრდება ამა წლის პირველ დეკემბერს. 35 წელიწადია, ამ პოლიკლინიკაში რემონტი არ გაკეთებულა, პირველი სართული გარემონტებულია, გაკეთდა აფთიაქი, კეთდებოდა რეგისტრატურა, მაგრამ ეს ხალხი ამის წინააღმდეგი იყო, კარგად იცით, რატომ. ეს გამოიწვევს თანხები კონტროლს, რაც არ არის კონტროლირებადი. მე ფაქტებს მოგიყვანთ, მანამდე შევიძინე სამი პოლიკლინიკა, სადაც წლიური მოგება სადღაც 5-6 ათასი ლარი იყო. ჩვენ შევედით 2012 წლის პირველ ივნისს და პირველ თვეში მოგება იყო 84 ათასი ლარი. ბიუჯეტში გადავიხადეთ 200 ათას ლარამდე. დანარჩენი თქვენ გააანალიზეთ.

დღეს მითვისებულია იქ ყველაფერი. დირექტორი არ არსებობს. როგორ შეიძლება, მანიფესტაციის ადგილი იყოს პოლიკლინიკა? გამაგრებულნი არიან და არავის უშვებენ, პაციენტები ვერ მიდიან. მე დიდი სიამოვნებით მივცემ უკან ამ ქონებას, არანაირი ბრძოლა არ სჭირდებათ. გადამიხადონ უკან, რა თანხაც იქ მაქვს დახარჯული, არ ვიცი, ეს ვინ იქნება – მერია თუ სხვა და ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროთ.

მამუკა ქაცარავა:

– პრივატიზებასთან დაკავშირებით ჩემი პოზიცია ასეთია – პრივატიზაცია იყო მისაღები, საჭირო და აუცილებელი. ათწლეულების განმავლობაში ეს პოლიკლინიკები იყო მუნიციპალური საკუთრება, მაგრამ პირველადი ჯანდაცვის ეფექტურობა ნამდვილად არ მიგვიღია შედეგად. არ არის გადამწყვეტი, იქნება სახელმწიფო საკუთრება თუ კერძო საკუთრება. მთავარი, რომ პირველადი ჯანდაცვის სერვისი იყოს ძალიან მაღალი და სახელმწიფო შემდეგ იყიდის თავისი მოქალაქეებისათვის. პრივატიზების ეს სქემები იმისთვის შეიქმნა, რომ პირველად ჯანდაცვაში შექმნილიყო კონკურენტუნარიანი გარემო. პირველადი ჯანდაცვის დეფიციტი ქალაქს არ აქვს. არის ძალიან მაღალი კონკურენტუნარიანობა. უბრალოდ, შეიძლება ვთქვათ, რომ ჯერჯერობით არ არის ჯანსაღი კონკურენცია, მაგრამ ესეც დასახვეწია. რაც შეეხება კონკრეტულ შემთხვევას, აქ არის ორმხრივი ბრალდებები. ვფიქრობ, პოლიკლინიკა დეტალურად უნდა იქნეს შესწავლილი შესაბამისი ორგანოების მიერ. შეიძლება, შევიდეს აუდიტის სამსახური, ჯანდაცვის სამინისტროს შესაბამისი ინსპექცია, თუ საჭიროა, ფინანსური პოლიციაც კი, რათა გაბათილდეს ინვესტორის ბრალდება, რომ ამ პოლიკლინიკაში ბრუნავს შავი ბუღალტერია. ექიმებსაც აქვთ ბრალდებები. შევისწავლოთ და ამის მიხედვით უნდა იქნეს გადაწყვეტილება მიღებული, – უთხრა ჟურნალისტებს ქაცარავამ.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ზაზა გაბუნიამ გუშინ ქონების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელს უნდობლობა გამოუცხადა, თუნდაც იმიტომ, რომ ჭედიამ ვერ გაბედა, საკრებულოს წინაშე წარმდგარიყო და კითხვებზე პასუხი გაეცა. გაბუნიამ ჭედიას გადადგომა მოითხოვა.

საკრებულო მერიას მენეჯმენტს უწუნებს

რატომ დარჩა 100 მილიონამდე თანხა დასახარჯი?

მერი ნამორაძე

საზოგადოებისათვის ცნობილია, რომ თბილისის მერიამ 2014 წლის ტრანსფერის შემცირების გამო ფინანსთა სამინისტრო დედაქალაქის მოსახლეობის წინააღმდეგ ჯიჰადის წამოწყებაში დაადანაშაულა. ფინანსთა სამინისტრო ტრანსფერის შემცირების ერთ-ერთ მიზეზად თბილისის მერიის მხრიდან თანხების ათვისების შეფერხებას ასახელებს. მერია ამის საპასუხოდ ყურადღებას ამახვილებს სახელმწიფო ბიუჯეტის ანალოგიურ მაჩვენებლებზე, რომელიც, 8 თვის მონაცემების მიხედვით, მინიმუმ 600 მილიონი ლარია და მხოლოდ იმიტომ არ ხდება სახელმწიფო ბიუჯეტის დეპოზიტების ზრდა, რომ პრობლემებია სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების შესრულებაში. მერია აცხადებს, რომ თბილისის ბიუჯეტის დეპოზიტზე არსებული თანხების უდიდესი მოცულობა დაკონტრაქტებულია. ამასთან, საბიუჯეტო პრაქტიკა აჩვენებს, რომ საკასო ხარჯების 35-40 პროცენტი სწორედ მეოთხე კვარტალში გაიწევა, ხოლო თბილისის ბიუჯეტის ათვისების წლიური მაჩვენებელი 2010-2012 წლებში 95-99 პროცენტია.

მერიისთვის გაუგებარია, რის საფუძველზე ვარაუდობს ფინანსთა სამინისტრო 2014 წელს თბილისის შემოსავლების ზრდას. 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებში შესამჩნევად იზრდება მხოლოდ ერთი საბიუჯეტო პარამეტრიც და ეს არის ფასიანი ქაღალდების გამოშვება ანუ სახელმწიფო ვალის ზრდა. თბილისი კი არ აპირებს, ვალების ზრდის ხარჯზე გაზარდოს ბიუჯეტის მოცულობა.

მერია ფინანსთა სამინისტროს ბრალად იმასაც სდებს, რომ არ გაითვალისწინა რეგიონებში მიმდინარე წელს სხვადასხვა დონეზე მიღებული გადაწყვეტილებები, რომლებმაც თბილისის 2014 წლის ბიუჯეტის ხარჯები, გასულ წლებთან შედარებით, ჯამში, 100 მილიონი ლარით გაზარდა. მათ შორისაა დასუფთავების ფიქსირებული ტარიფის შემოღება 20 მილიონი ლარი; საბავშვო ბაღებში უფასო სწავლება – 20 მილიონი ლარი; მუნიციპალური ტრანსპორტის ავტოპარკის განახლება 3 – მილიონი ლარი, ავარიული კორპუსების გამაგრება – 30 მილიონი ლარი. მერია განსაკუთრებულ ყურადღებას „თბილისი-2015“ ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალის მომზადებისათვის საჭირო ხარჯებზეც ამახვილებს, რომლის დაფინანსებას ცენტრალური მთავრობა 6,5 მილიონი ლარით აპირებს და 63,5 მილიონი ლარის ვალდებულებებს თბილისის ბიუჯეტს აკისრებს.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს დედაქალაქის საკრებულო თბილისის ბიუჯეტთან დაკავშირებით, ჯერჯერობით უცნობია. საკრებულოში ამბობენ, რომ კონსულტაციებს გაივლის უმრავლესობა, კონსულტაციები გაიმართება უმცირესობასთანაც და ფინანსთა მინისტრთანაც.

როგორც საკრებულოს იურიდიული კომისიის თავმჯდომარე დავით ჯინჭარაძემ გუშინ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, აპელირება და პოლიტიკური განცხადებების გაკეთება მიზანშეწონელია იმ ფონზე, როცა თანხა, დაახლოებით 100 მილიონამდე, ნაშთად რჩება თბილისის ბიუჯეტში:

– ეს არ მეტყველებს მერიის კარგ მენეჯმენტზე, რადგან ძალიან ბევრი პრობლემაა თბილისში სოციალური და სამეურნეო კუთხით. არის უამრავი ავარიული სახლი, ფაქტობრივად, პრობლემებით არის თბილისი აღსავსე და, აქედან გამომდინარე, არ აქვს არც თბილისის მერს და არც თბილისის მთავრობას იმის უფლება, რომ თანხა ნაშთად დარჩეს თბილისის ბიუჯეტს. დღეისათვის თბილისის მერიის ბიუჯეტზე არსებული თანხა 180 მილიონამდეა, ნაშთი კი წელს 100 მილიონამდე დარჩება. იმაზე არ უნდა გააკეთონ აპელირება, რომ ამდენი ფული დაიტოვეს. მაშინ საერთოდ არ დავხარჯავ ფულს და დარჩება ეს 740 მილიონი თავიდან ბოლომდე. მხოლოდ ხელფასებს გასცემენ და იტყვიან, რომ მაგარი მენეჯერები ვართ, 500 მილიონი დაგვრჩა ბიუჯეტშიო, – უთხრა ჯინჭარაძემ ჟურნალისტებს.

საკრებულოს უმრავლესობა პირობას დებს, ისეთ ბიუჯეტს დაუჭიროს მხარი, რომელიც თავიდან ბოლომდე იქნება მორგებული თბილისსა და თბილისელებზე.

ბაჩო ახალაია სოზარ სუბარის გადაყენებას ითხოვს

ბრალდებულ ბაჩო ახალაიას საკანში ჩანაწერის გავრცელებასთან დაკავშრებით განცხადება ცოტა ხნის წინ ახალაიამაც გაავრცელა.

„ჩემი დაკავებიდან დღემდე საზოგადოებამ არაერთი კანონდარღვევის შესახებ გაიგო, რაც მიზნად ისახავდა, ცრუ ბრალდებების შეთითხვნას და ჩემი მრავალი წლით ციხეში გამოკეტვას. მათ შორის, დღეს გამოქვეყნდა კადრები, სადაც ცალსახად ჩანს, რომ ამ ხნის განმავლობაში ჩემი საუბრები ადვოკატებთან, კომისიის წევრებთან და პარლამენტარებთანაც კი სრულიად კონტროლდებოდა და ეს ხდებოდა აბსოლუტურად უკანონოდ, რაც წარმოადგენს სისხლის სამართლის დანაშაულს, რის გამოც უნდა დადგეს სასჯელაღსრულების მინისტრის სოზარ სუბარის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხი“ – ნათქვამია სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ ბაჩო ახალაიას გვერდზე განცხდებაში.

თავდაცვისა და შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის საკანში გადაღებული ვიდეომასალა კახეთის საინფორმციო ცენტრმა გაავრცელა. ცენტრი აღნიშნავს, ვიდეო მათ ექსკლუზიურად მოიპოვეს და იგი სასჯელაღსრულების მე-7 დაწესებულებაშია გადაღებული. ჩანაწერში ჩანს, ბრალდებულის ყოველდღიური ცხოვრების ამსახველი კადრები, ციხეების საზოგადოებრივი მონიტორინგის ჯგუფის წევრ ჟურნალისტებთან, დეპუტატ აკაკი მინაშვილთან ახალაიას შეხვედრები და მათთან გასაუბრება. ახალიას ადვოკატების განცხადებით, ვიდეო-აუდიო ჩანაწერები უკანონოდ გაკეთდა და ბრალდებული საკანში მხოლოდ ვიზუალურ კონტროლზე იყო თანახმა.

სასჯელაღსრულების სამინისტროს ინფორმაციით, ახალაიაზე ელექტორნული მეთვალყურეობის შესახებ ბრალდებული ინფორმირებული იყო. ვიდეოს გავრცელებასთან დაკავშირებით კი, მასალები რეაგირებისთვის სამინისტრომ გადაუგზავნა პროკურატურას. მთავარ პროკურატურაში სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ცალკეული თანამშრომლების მიერ უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე გამოძიება უკვე დაიწყო.

ნიუსპრესი

სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიას დავით უსუფაშვილი უხელმძღვანელებს

სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიას, რომლის მიზანი საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯვის შესახებ კანონპროექტის მომზადებაა, პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი უხელმძღვანელებს. სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის შექმნის შესახებ დღეს გამართულ სხდომაზე იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა იმსჯელა.

კომისიის თავმჯდომარემ პარლამენტს კომისიის დებულების პროექტი, რომლითაც კომისიის სტრუქტურა, საქმიანობის წესი, საკითხების განხილვისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცედურები, კომისიაში საზოგადოების ჩართულობის მექანიზმები და სხვა ორგანიზაციული საკითხები განისაზღვრება, დასამტკიცებლად ერთი თვის ვადაში უნდა წარუდგინოს. ამავე ვადაში უნდა იქნეს წარდგენილი კომისიის შემადგენლობა.

სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიამ კონსტიტუციის გადასინჯვის შესახებ კანონპროექტი კი, საქართველოს პარლამენტში 2014 წლის 1 სექტემბრამდე უნდა წარადგინოს. იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა დადგენილების პროექტის პლენარულ სხდომაზე გატანას მხარი დაუჭირა.

ნიუსპრესი

მამუკა გიორგაძე: „საქართველოში სამართლიანობა როდის იყო, რომ მისი აღდგენა მოხდეს!“

თამარ ნინიძე

ინტერვიუ „სახალხო პარტიის“ თავმჯდომარე მამუკა გიორგაძესთან

— დვანსა და დიცში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, პირადად სოფელ-სოფელ ხომ არ ვივლი და თითოეულ ადამიანს ხომ არ შევხვდებიო. როგორ აფასებთ ხელისუფლების დამოკიდებულებას ამ პრობლემის მიმართ?

— სოფელ-სოფელ სიარული საჭირო არ არის იმისათვის, რომ საქმე გააკეთო და, როცა საქმე არ კეთდება, ამაზე უნდა ვისაუბროთ, აქცენტის გადატანა, ივლის ვინმე დიცში თუ არა, ეს უნდა იყოს შემადგენელი ნაწილი საქმის კეთების. უმოქმედობის გამართლება იმით, სოფელ-სოფელ ხომ არ ვივლიო, ეს მიუღებელია და არ არის სწორი პოზიცია. პრემიერმა ვერ გაგვცა პასუხი, თუ რა გააკეთა ამ მოვლენებთან დაკავშირებით. ვეთანხმებით, რომ სააკაშვილის გაფუჭებული საქმეა, ივანიშვილს იმიტომ დაუჭირა ხალხმა მხარი, რომ სააკაშვილის გაფუჭებული საქმე გამოესწორებინა, ასევე ხალხი მოითხოვს თანმიმდევრულობას ივანიშვილისგან, როცა ის ამბობს, რომ ეს პრობლემა საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერით უნდა გადაწყდეს, მაგრამ არის ეჭვები, ვართ თუ არა საერთაშორისო თანამეგობრობასთან. თუ მასთან არ ვართ, მაშინ საერთაშორისო თანამეგობრობა არ დაგვეხმარება, თუ ვართ, ეს მკაფიოდ უნდა ვუთხრათ, რომ დაგვეხმაროს და ხელი შეგვიწყოს. ჩასვლა იქ ძალიან კარგია პიარისთვის და სახელმწიფო მეთაური მიდის, მედიის მობილიზებას იწვევს და მსოფლიოს ყურადღებას იწვევს. თუმცა ჩასვლა იქ თვითმიზანი არ არის, ყველამ საქმე უნდა აკეთოს თავის სამუშაო ადგილას. როცა შატილი დაბომბა რუსეთმა, მოქკავშირი გაიქცა, რუსეთის საელჩოსთან სააკაშვილმა და სხვებმა ქაღალდის თვითმფრინავები გაუშვეს. მაშინაც ვეუბნებოდით, რა უნდა რუსეთის საელჩოსთან დეპუტატს, აგერ ხართ, აიღეთ პულტი, უარი უთხარით რუსეთის სამშვიდობოებს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე დარჩნენ.

— მახსოვს, მაშინ თქვენ შესთავაზეთ მოქკავშირლებს, ოფიციალურად დოკუმენტით დაედასტურებინათ, რომ რუსეთის სამშვიდობოები უნდა გავიდნენ საქართველოს კონფლიქტური რეგიონებიდან, მაგრამ მოქკავშირმა მხარი არ დაგიჭირათ. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ეს საკითხიც გადაწყდა და საქართველო დსთ-დანაც გავიდა. ახლა როგორ ფიქრობთ, ივანიშვილმა სააკაშვილის გაფუჭებული საქმე როგორ უნდა გამოასწოროს?

— ეს არის საქმე, აზრი აღარ ჰქონდა უკვე სამშვიდობოების მანდატის გაუქმებას და რუსეთს აფხაზეთის დამოუკიდებლობა ჰქონდა აღიარებული, მაშინ დსთ-ში საქართველოს დარჩენა თავად რუსეთისთვის აღარ იყო საინტერესო. მაშინ უნდა მივიღოთ გადაწყვეტილება, როცა ამის აუცილებლობაა. ჩასაფრებული არ ვარ ივანიშვილის მიმართ, მაგრამ არამცთუ მსოფლიომ, აგერ თბილისში მე ვერ დავინახე, რომ საქართველოს ჰყავს ხელისუფლება, რომელსაც შეუძლია საკუთარი მოქალაქეების დაცვა. ეს ხელისუფლება არ არის მონადინებული, რომ საქართველოს ინტერესები დაიცვას. ვერ დავინახე, რომ ამ ხელისუფლებას სურვილი მაინც აქვს რაღაც ქმედების. როგორ უნდა დაუშვას ხელისუფლებამ ის, რომ ქართველებმა ის სახლები დაანგრიონ, რომლებიც მათ ამ კონფლიქტურ ტერიტორიაზე აქვთ, საკუთარი ხელით დაეშლევინეს სახლები, ეს ხომ პოლიტიკური და იდეოლოგიური საკითხია. უნდა ყოფილიყო მტკიცე პოზიცია, რომ ქართველი საკუთარი ხელით არ დაშლის სახლს. ისრაელიდან გაქცეული არაბების სახლები დღესაც იქ დგას, ბერძნების სახლები დღესაც არის თურქეთში და ხელშეუხებელია. თბილისში რომ ყველგან დააყენეს ვიდეოთვალი, დააყენონ დიცსა და დვანში პერიმეტრზე ეს ვიდეოთვალები. მთელ მსოფლიოს აჩვენონ, რა ხდება იმ ზონაში. რა გახდა, რომ პატრულირება დაიწყოს პოლიციის მიერ. რეიდები და პოსტები სად არის? დავიცვათ ეს ჩვენი საზღვარი იმ ტერიტორიაზე. როცა აცხადებენ, ევრაზიულ კავშირში რატომაც არაო, ეუბნები დასავლეთს, რომ არ ხარ მისი პარტნიორი, უბრალოდ, ახლა გჭირდება და ხარ მასთან. პრობლემა ის არის, რომ საქართველოს არ ჰყავს ხელისუფლება, რომელიც ამ პრობლემას მოაგვარებს. ქართველი წმინდანების მიერ მორწყულ მინაზე ზაქარეიშვილი ამბობს, რა მოხდა, მერე ორასი და სამასი მეტრით თუ გადასწევენ საზღვარსო. ვიღაცისთვის სალაპარაკო არ არის სამი ან ოცი კილომეტრი. ბოლშევიკებისთვის

საერთოდ არ არსებობდა საქართველო. ამას უყურებს მტერიც და მოყვარეც მსოფლიოში და სამმა მოსახლემ საკუთარი სახლი დაანგრია იმიტომ, რომ ამ ხელისუფლების იმედი არა აქვს. ამიტომ ვერ იცავს საქართველოს ინტერესებს დასავლეთი ისე, როგორც საჭიროა, რომ უფრო მკაფიო და მკაცრი პოზიცია გამოხატოს, ვიდრე გამოხატავს საქართველოს ხელისუფლება.

— ივანიშვილი შეხვდა ექსპერტებსა და მედიის წარმომადგენლებს. რა შთაბეჭდილება დაგიტოვათ ამ შეხვედრებმა?

— ასეთი შეხვედრები შესაძლებელია, როცა საკუთარ კანტორაში განიხილავ ხოლმე ამ ყოველივეს. ეტყობა, პრემიერ ივანიშვილს ამ ექსპერტებსა და ჟურნალისტებზე გააჩნია გარკვეული მორალური უფლებები, რომ დაუძახოს და ასეთი ტონით ელაპარაკოს. ეს უკვე აღარც ჟურნალისტობაა და აღარც ექსპერტობაა. პრემიერი ხაზს უსვამს რაღაც ვალდებულებებს, რომელიც ამ ადამიანებს აქვთ მის მიმართ. ეს ვალდებულებები უნდა დამთავრდეს საქართველოში. უნდა შეწყდეს კლანური მართვის პრინციპები. როცა ვლაპარაკობთ დეოკუპაციაზე, ჩვენ ასევე ვსაუბრობთ იმაზე, რომ უნდა დასრულდეს მართვის ბოლშევიკური სისტემები ქვეყანაში. საზოგადოების ერთ სუბიექტზე იდენტიფიკაცია ხდება. ასე იყო ბოლშევიკური სისტემა. მოქალაქეობრივი, ადამიანური თავმოყვარეობა უნდა ჰქონდეს ჟურნალისტს. კარგია, როცა ჟურნალისტები ჩადიან დიცში, აქციას მართავენ, მაგრამ ყოველდღიურად უნდა შეახსენონ საზოგადოებას, რა ხდება დიცსა და დვანში. ერთჯერადად ასრულებენ სამოქალაქო მოვალეობას, მერე ბრუნდებიან და საუბრობენ იმაზე, ვისი ცოლი ვის ქმართან დადის და ამით დიცის მოვლენები გადადის მეშვიდე პლანზე. ეს არ შეიძლება. 27 სექტემბერს, როცა სოხუმის დაცემის დღეს პირველი სიუჟეტები ამ თემაზე უნდა ყოფილიყო, ვიხილეთ, საკრებულოში რა კონფლიქტები იყო ყოფილ და ახლანდელ მოქკავშირლებს შორის. ამ თემამ გადაფარა 27 სექტემბრის მოვლენები, სოხუმის დაკარგვა. აქ არის პრობლემა, ეს არ უნდა გააკეთოს ჟურნალისტმა. მერე როცა დაგიძახებს, მიხვალ პრემიერთან და დაგელაპარაკება იმიტომ, რომ იქ არ დგახარ, სადაც უნდა იდგე. ყველამ თავისი საქმე თავის არეალში უნდა აკეთოს. პოლიტიკაშიც ასეა, საჩვენებლად ჩადიან დიცში და შემდეგ იმაზე ზრუნავენ, სახელმწიფოს ხარჯზე როგორ მოიწყონ ცხოვრება. ასეთ ჩასვლას დიცში აზრი არა აქვს.

— დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბის თავმჯდომარე სოსო ცისკარიშვილმა ერთ ტელეეთერში ისაუბრა დახურულ ფორმატში ექსპერტებთან და ეკონომისტებთან შეხვედრის დროს, რა დაძაბულობა იყო და ივანიშვილი ერთ წუთში ამ შეხვედრიდან წასვლასაც კი აპირებდა, ისე არ მოეწონა. მაინც რას ითხოვს ივანიშვილი იმ ადამიანებისგან, რომლებიც საზოგადოებრივ აზრს ქმნიან?

— მართვის პრობლემაა, წარმოდგენა არა გვაქვს, რას ნიშნავს სახელმწიფო ხელისუფლება, საზოგადოება, რა ფუნქცია აქვს მედიას, პარტიებს. სამწუხაროდ, ვერ გავთავისუფლდით მართვის საბჭოთა სისტემისგან. ერთ ადამიანზე იდენტიფიცირებული ხელისუფლება, საზოგადოება, მედია ვერ გათავისუფლდება მართვის საბჭოთა სისტემისგან. ნოყიერ ნიადაგს ქმნის იმისათვის, რომ გარედან მოხდეს პროცესებში ჩარევა. ახლა გადავეწყვეთ ახალ პირველზე, სააკაშვილი თუ გვიან დგებოდა და გვიან იძინებდა, ახლა გადავწყვიტეთ ადრე ადგომა და ადრე დაწოლა. სანამ არ გამოვალთ ამ სისტემური კრიზისიდან, არაფერი გვეშველება. რა მნიშვნელობა აქვს ნაცმოძრაობის ლიდერების ქმედებებსა და ახლანდელი ხელისუფლების ქმედებებს. ტელევიზიები შაყირობდნენ, აქვს თუ არა ნაკლი მიხეილ სააკაშვილს და ვერც ერთი დეპუტატი ნაცმოძრაობიდან ვერ ბედავდა ამ ნაკლზე საუბარს, დღეს კი „ქართული ოცნების“ დეპუტატები ვერ ბედავენ იმის თქმას, რა ნაკლი აქვს ივანიშვილს. ეს არის ბოლშევიზმი. კი არ მოვუწოდებ ვინმეს, რომ ნაკლზე ისაუბრონ, მაგრამ ადამიანები დათრგუნული არიან. ვინმემ ეჭვი არ შეიტანოს ერთგულებაში და ნახეთ, როგორ იქცევიან „ოცნების“ წარმომადგენლები.

— თქვენ ახსენეთ ეს ურთიერთობები. კობა დავითაშვილი ერთადერთი იყო, რომელმაც გაბედა იმის კრიტიკა, რაც არ მოსწონდა. ის ხალხი, ვინც თვალებში შესცინცინებს ივანიშვილს, ალბათ, რაღაც ფინანსური ინტერესებით არის დაკავებული.

— ეს თავიდანვე განსაზღვრული იყო, აბა, რისთვის მივიდნენ „ოცნებაში“. ვიღაცა რაღაცას ელოდება, ვიღაცისთვის ლოდინი დამთავრდა. აქ მთავარი არ არის იდეოლოგიური მოსაზრებები და პრინციპები. როცა იტყვიან, ნებისმიერ შემთხვევაში ვდგავარ პიროვნების გვერდით და არ მაინტერესებს მისი პრინციპები, იქ მთავრდება ყველაფერი. გუდურასავით რომ შეიტანენ და დასვამენ პარლამენტში ვიღაცას და იქიდან გვმოძღვრავს, თითქოს დამოუკიდებელი პოლიტიკოსი იყოს, ეს არის ცუდი. პოლიტიკოსად თუ არ ვარგიხარ, ადამიანად ივარგე და დაუდექი მაშინ ბოლომდე იმას, ვინც გაგიყვანა პარლამენტში.

— ადეიშვილის ქება მოვისმინეთ ივანიშვილისგან. რას ფიქრობთ ამაზე?

— ჩვენ არ უნდა დაგვიჩლუნგდეს მოვლენების შეფასების უნარი. როცა პირველი განცხადება გაკეთდა, რომ შუა უნდა გაიკრიფოს პოლიტიკაში და ორი სუბიექტი უნდა დავრჩეთ მოედანზე, ეს იმის გზავნილი იყო, ჩვენ და ნაციონალები გავარკვევთ ურთიერთობებსო. ამის შედეგია, ის რაც ხდება. ვარდების რევოლუციის იდეების გადარჩენაზეა საქმე. საპარლამენტო უმრავლესობაშიც რაღაც მოხდება, ვიღაცა ოპოზიციაში წავა, ვიღაცა უმრავლესობას გამოეყოფა, მაგრამ პოლიტიკური ცხოვრების არსი თუ არ გვესმის, არაფერი გვეშველება. რა აქვთ ამათ ერთმანეთთან გასაყოფი, პიროვნულ ურთიერთობებს მოაგვარებენ. თუ ათი წელი თანამშრომლობდნენ ერთმანეთთან, მომავალშიც ითანამშრომლებენ. ის ფაქტი, რომ ერთი წელია, ადეიშვილი გადაცემული არ არის ძებნაზე, განმარტებებს საჭიროებდა. ეს გაკეთა ივანიშვილმა. აქ მოულოდნელი არაფერია.

— ხალხი აღარ უნდა ელოდოს სამართლიანობის აღდგენის პროცესს?

— ამ ტერმინში მნიშვნელოვანი კოდია ჩადებული. როდის იყო საქართველოში სამართლიანობა? როცა „რუსთავი ორს“ ჰყავს ხუთი მეპატრონე, რომელი პერიოდიდან ვითხოვთ სამართლიანობის აღდგენას ამ ტელევიზიისთვის? საუბარი უნდა იყოს არა სამართლიანობის აღდგენაზე, არამედ სამართლიანობის დამკვიდრებაზე. რას ნიშნავს სამართლიანობის დამკვიდრება, ესეც უნდა გავარკვიოთ. ამის პარამეტრებს თუ გავარკვევთ, ეს შეუზღუდავს ხელისუფლებას თვითნებობას. დავიწყოთ სამართლიანი არჩევნებიდან, ჩავატაროთ სამართლიანი არჩევნები ახლა, ადგილობრივი არჩევნები, ასევე საპარლამენტო არჩევნები.

გიორგი ვაშაძე: „ნაციონალური მოძრაობის გენერალური მდივანი კვლავ ვანო მერაბიშვილი იქნება“

ნაციონალური მოძრაობის წევრის გიორგი ვაშაძის განცხადებით, ნაციონალური მოძრაობის გენერალური მდივანი კვლავ ვანო მერაბიშვილი იქნება. ამის შესახებ ვაშაძემ, სპორტის სასახლეში დაგეგმილ ნაციონალური მოძრაობის ყრილობასთან დაკავშირებით გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

„ბევრი ახალი წევრი იქნება, ვინც ამ ყრილობაში პირველად მიიღებს მონაწილეობას და ზოგადად, ეს არის ყველაზე დიდი ნაბიჯი პარტიის განახლებისა და შიდა დემოკრატიზაციისკენ. გენერალური მდივნის პოსტი შენარჩუნდება და ამ თანამდებობაზე ჩვენი აზრით, კვლავ ვანო მერაბიშვილი უნდა დარჩეს და ალბათ, ასეც იქნება“, — განაცხადა ვაშაძემ.

ნაციონალური მოძრაობის ყრილობა დღეს, 17:00 საათზე სპორტის სასახლეში გაიმართება.

მედიანიუსი

„ჩემი გამარჯვება ყველას გამარჯვება იქნება“

წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში, საპრეზიდენტო კანდიდატი ნინო ბურჯანაძე გუშინ სამგორის მოსახლეობას შეხვდა. „დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველოს“ ლიდერი მოსახლეობას გაესაუბრა და პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში მისი გეგმები გააცნო.

მისი თქმით, აუცილებლად მოგვარდება ყველა ის საკითხი, რომელიც მოსახლეობას განსაკუთრებით აწუხებს — უპირველეს ყოვლისა, მავთულხლართებისა და უკანონო საზღვრების პრობლემა. იგი ამომრჩველებს სამართლიანოს აღდგენასაც დაპირდა.

„სამართლიანობა აღდგება ყველგან და ყველასთვის და არ იქნება გამონაკლისი არავისთვის. ვპირდები ადამიანებს, რომ წარვმართავ ისეთ საგარეო და საშინაო პოლიტიკას, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის სწორ გზაზე დაყენებას და მოსახლეობის პრობლემების ეტაპობრივ მოგვარებას. ვხედავ, რომ ხალხს სჯერა ამ სიტყვების, ისინი ხედავენ, რომ მაქვს ძალა, უნარი და კომპეტენცია ამ დაპირებების შესრულებისა“, — აღნიშნა პრეზიდენტობის კანდიდატმა.

მისი თქმით, იგი ხალხის მხარდაჭერით გამარჯვების მოპოვებაში დარწმუნებულია. „ვპირდები ქვეყანას რომ ჩემი გამარჯვება ყველას გამარჯვება და ქვეყნის გამარჯვება იქნება“ — განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

ნიუსპრესი

შსს-ს აკადემიაში დონორთა საკოორდინაციო შეხვედრა გაიმართა

შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში, შსს-ს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის ორგანიზებით, დონორთა ყოველწლიური საკოორდინაციო შეხვედრა გაიმართა.

უწყების პრესსამსახურის ინფორმაციით, შეხვედრაზე შსს-ს ყველა შესაბამის მიმართულებაში ჩატარებული საჭიროებათა ანალიზი და სამინისტროში განხორციელებული რეფორმების შესახებ ინფორმაცია წარადგინეს. პრეზენტაცია ყველა იმ საჭიროებების შესახებ მოიცავდა ინფორმაციას, რაც სამინისტროს სხვადასხვა ქვედანაყოფს ტრენინგებისა თუ შესაძლებლობების გაუმჯობესების კუთხით გააჩნია. შეხვედრის დასასრულს ერთობლივი პროექტების განხორციელების სამომავლო გეგმები განიხილეს. შეხვედრას ამერიკის საელჩოს ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის და სამართალდამცველებთან თანამშრომლობის საერთაშორისო ბიუროს, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის, საქართველოში ევროკავშირის მისიის და ევროსაბჭოს წარმომადგენლები; ასევე, თურქეთის, ლატვიის და შვედეთის პოლიციის ატაშეები დაესწრნენ.

მედიანიუსი

ნინო ბურჯანაძე: „ბიძინა ივანიშვილის ზურგს უკან გარიგებები ხდება“

წინასაარჩევნო ვითარებასთან დაკავშირებით დღეს „დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველოს“ ლიდერმა, პრეზიდენტობის კანდიდატმა ნინო ბურჯანაძემ საქართველოში დიდი ბრიტანეთის ელჩთან ალექსანდრა მერი ჰოლ ჰოლისთან შეხვედრაზე ისაუბრა.

„დემოკრატიული მოძრაობის“ პრესსამსახურის ინფორმაციით, ბურჯანაძემ ბრიტანეთის ელჩს დეტალური ინფორმაცია მიაწოდა სამართალდარღვევათა კონკრეტული ფაქტების შესახებ.

მისი თქმით, წინასაარჩევნო გარემო ბევრად თავისუფალია, თუმცა, კამპანია არასამართლიანად და არათანაბარ გარემოში მიმდინარეობს — ძირითადი კონკურენტებისგან განსხვავებით, იგი ვერ სარგებლობს უფასო სარეკლამო დროით; საარჩევნო კომისიები კი, დაკომპლექტებულია მხოლოდ კონკურენტი პარტიების წარმომადგენლებით და ა.შ.

„ვაცნობე ელჩს იმ ფაქტების შესახებ, რომელსაც რამდენიმე რაიონში ჰქონდა ადგილი. ვგულისხმობ გარკვეული ზეწოლისა და გარიგების ფაქტებს „ნაციონალურ მოძრაობასა“ და „ქართულ ოცნებას“ შორის. მინდა, რომ თქვენი მეშვეობით ბიძინა ივანიშვილსაც მივაწვდინოთ ხმა, რადგან დარწმუნებული ვარ, ის დაინტერესებულია, რომ არჩევნები ჩატარდეს თავისუფალ და დემოკრატიულ გარემოში. ამ დროს კი, მის ზურგს უკან გარიგებები ხდება, რაც საფრთხეს უქმნის არჩევნების დემოკრატიულად ჩატარებას“ — განაცხადა პრეზიდენტობის კანდიდატმა ჟურნალისტებთან.

ნინო ბურჯანაძე სოფელ დიცში და დვანში მიმდინარე მოვლენებსაც შეეხო და აღნიშნა, რომ მთავრობასთან გარკვეული პრეტენზიები აქვს. როგორც იგი ამბობს, ხელისუფლების წარმომადგენლები თან გარღვევის არსებობაზე საუბრობენ და თან რუსეთის ხელისუფლებასთან ამ თემის გარშემო საუბარს ვერ ახერხებენ.

ნიუსპრესი

ელჩებმა რუსების ქმედება დაგმეს

ნათია ხურცილავა

საგარეო საქმეთა სამინისტროს ორგანიზებით საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსი ოკუპაციის მოსანახულებლად გაემგზავრა. საქართველოში აკრედიტებულმა ელჩებმა საკუთარი თვალით ნახეს, თუ რა ხდებოდა ოკუპაციის ზოლთან, სადაც რუსელმა მავთულხლართებმა ადამიანებს ერთ-მეორეგან ერთად ყოფა, სამი ოჯახი კი დედაბუდიანად აყარა.

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე დავით ზალკალიანი უწყებისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან ერთად დიდ ხურვალეთში, დიცსა და დვანში გუშინ გაემგზავრა. კონფლიქტისპირა სოფლების მოსანახულებლად დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის პირველი მოადგილე ქეთევან ციხელაშვილიც ახლდა.

დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებმა დიდ ხურვალეთში, დვანსა და დიცში ადგილზე არსებული მდგომარეობა ნახეს და მძიმე შეფასებებიც გააკეთეს, თუმცა მათი შესაძლებლობები არსებული ვითარების ნახვით, აღწერითა და საკუთარ დედაქალაქებში ინფორმაციის მიწოდებით შემოიფარგლა.

ელჩები ასევე ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდებიან და მათ პრობლემებზე დეტალურ ინფორმაციას მიიღებენ.

საგარეო საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, რომ საგარეო უწყება საოკუპაციო ზოლში არსებულ ვითარებაზე საერთაშორისო თანამეგობრობას სრულ ინფორმაციას აწვდის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიის შესახებ.

– მიზნად ვისახავთ იმას, რომ დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელებმა საკუთარი თვალით ნახონ, თუ რა ვითარებაა ე.წ. საზღვრის გასწვრივ, თუ როგორ ხდება ამ მავთულხლართების დამონტაჟება, როგორ იზღუდება ადამიანების უფლებები. ელჩები ადგილზე ნახავენ ვითარებას, თუ საშუალება იქნება, მოსახლეობასაც გაესაუბრებიან, მაგრამ, რაც მთავარია, თავიანთი მისვლით ისინი გამოხატავენ ჩვენს მხარდაჭერას, – განაცხადა საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ.

საქართველოს ტერიტორიაზე რუსული მავთულხლართების გაბმის პროცესი საკუთარი თვალით იხილა ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა. რიჩარდ ნორლანდს დიცში არსებულმა ვითარებამ ბერლინის კედელი გაახსენა.

როგორც საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფლებში ვიზიტისას რიჩარდ ნორლანდმა აღნიშნა, ადგილზე ვითარება ტრაგიკულია.

ამერიკელი დიპლომატი ამბობს, რომ ადამიანები საკუთარ მიწა-წყალს დააშორეს და ეს ადამიანის უფლებების ყველაზე დიდი დარღვევაა.

– ჩვენი დღევანდელი ვიზიტის მიზანია, რომ დიპლომატიური კორპუსი ადგილზე არსებულ ვითარებას გაეცნოს. სიტუაცია ნამდვილად ტრაგიკულია და მახსენდება ბერლინის კედელი. ხალხი დააშორეს საკუთარ მიწა-წყალს, წინაპრების საფლავებს. ჟენევის მოლაპარაკებების პარალელურად, აქ ხალხს თავისუფალი გადაადგილების საშუალება უნდა ჰქონდეს, – განაცხადა რიჩარდ ნორლანდმა.

დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები ჯერ სოფელ ხურვალეთსა და დიცში ჩავიდნენ და იქ არსებული მდგომარეობა შეისწავლეს, მოგვიანებით კი ელჩები სოფელ დვანს ეწვივნენ, სადაც მდგომარეობა ურთულესია, რაზეც თავად ადგილობრივები საუბრობენ.

ჩეხეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ივან იესტრჟაბი აცხადებს, რომ მავთულხლართების გავლებით ადგილობრივების საკუთრების უფლება ირღვევა.

– მივიღეთ ინფორმაცია საზღვრის ინტენსიური გავლების თაობაზე ე.წ. სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციულ სასაზღვრო ზოლთან, ამიტომ დიპლომატიურ კორპუსმა გადაწყვიტა, ადგილზე ნახოს და შეამოწმოს ეს ყველაფერი, რადგან ეს არის ქმედება, რომელიც ხალხს გადაადგილებას უკრძალავს და ერთმანეთს აშორებს, მავთულხლართების გავლებით ადგილობრივი მცხოვრებლების საკუთრების უფლება ირღვევა, გვინდა, ყველაფერი ვნახოთ და შევამოწმოთ, რომ უკეთ გავიგოთ, რა ხდება, – აღნიშნა ელჩმა.

დიპლომატიურ კორპუსს ახლდნენ სამინისტროს წარმომადგენლები. ელჩებს მეგზურობა საგარეო უწყების ხელმძღვანელის მოადგილე დავით ზალკალიანმა გაუწია ქეთევან ციხელაშვილთან ერთად.

საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე აცხადებს, რომ საქართველოსთვის საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან მხარდაჭერის კონსოლიდაცია ერთ-ერთი უმთავრესი დანიშნულებაა.

– ძალიან კარგია, რომ ელჩებმა საკუთარი თვალით ნახეს ადგილზე შექმნილი სიტუაცია, ერთია, როდესაც ისინი ინფორმაციას ჩვენგან და სხვადასხვა წყაროდან იღებენ, მაგრამ მთავარი უშუალოდ ადგილზე ნანახი სიტუაციაა, – განაცხადა ზალკალიანმა.

საგარეო საქმეთა სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში პრემიერის სპეციალური წარმომადგენელი ზურაბ აბაშიძე დიდი ხურვალეთის, დიცისა და დვანის მოსანახულებლად გუშინ ელჩებთან ერთად გაემგზავრნენ. მათი შეფასებით, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მდგომარეობა რთულია.

როგორც საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე დავით ზალკალიანმა გამგზავრების წინ განაცხადა, გამგზავრების იდეა მაშინ გაჩნდა, როცა უწყება ელჩებს მასპინძლობდა და კონფლიქტისპირა რეგიონში გართულებულ სიტუაციას აცნობდა.

როგორც ცნობილი გახდა, საოკუპაციო ზოლთან ჩასვლის სურვილი თავად საქართველოში აკრედიტებულმა ელჩებმა გამოთქვეს.

– სიტუაციის ადგილზე გაცნობის თხოვნა მათგან წამოვიდა. მნიშვნელოვანია, საკუთარი თვალით ნახონ, რა ხდება. ძალიან მნიშვნელოვანია საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერის კონსოლიდაცია, – განაცხადა დავით ზალკალიანმა.

დავით ზალკალიანი ევროკავშირის კომისრის ქეთრინ ეშტონის, ნატოს გენერალური მდივნის, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებებს მნიშვნელოვნად მიიჩნევს.

– ეს არ არის განცხადებები განცხადებებისთვის. ისინი საუბრობენ რუსეთის მხრიდან საერთაშორისო ნორმების დარღვევაზე, მოუწოდებენ მას 2008 წლის ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულების პატივისცემისკენ, მავთულხლართების მონტაჟის შეწყვეტისა და სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის აღიარების უკან წაღებისკენ. ეს არის საშუალება იმისა, რომ, ვინც მავთულხლართებს ამონტაჟებს, თავი კომფორტულად არ იგრძნოს, – აღნიშნა მინისტრის მოადგილემ.

ზალკალიანის ინფორმაციით, გარკვეულ ტერიტორიაზე რუსმა მესაზღვრეებმა ჩარჭობილი ბოძები ამოიღეს, თუმცა მან არ იცის, ეს არის თუ არა საერთაშორისო ორგანიზაციების განცხადებების გამოძახილი.

საგარეო საქმეთა მინისტრი დავით ზალკალიანი, რომელიც გამყოფ ხაზთან მდებარე სოფლებთან დიპკორპუსის წარმომადგენლებთან ერთად გაემგზავრა, შთაბეჭდილებების შესახებ „ფეისბუქში“ წერს.

– ოკუპაციის ხაზი – მავთულხლართებით გაყოფილი ხალხი. მძიმე სანახავია, – წერს მინისტრის მოადგილე.

სახელმწიფო მინისტრიეს მოადგილე ციხელაშვილი აცხადებს, რომ ელჩების ვიზიტი იმის დასტურია, რომ მსოფლიო ოკუპაციას ეუბნება არას. რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილე ქეთევან ციხელაშვილი ოკუპაციის ზოლზე ელჩების ვიზიტს აფასებს.

– ჩვენ ახლა მავთულხლართებთან ვდგავართ, რაც არის ერთ-ერთი სამარცხვინო ფორმა ოკუპაციის გაგრძელების, რომელიც ცხინვალის მიმართულებით ასე გამოიყურება. აფხაზეთის მიმართულებით ამას მიწათხრილებისა და კედლების ფორმა აქვს. მავთულხლართების უკან ცხოვრობენ ადამიანები, რომელთაც ცხოვრება გაურთულდათ, საკუთარი კარ-მიდამო გაუყვეს ორად და ეს არანაირ ნორმაში არ ჯდება. მადლობას ვეუბნები ელჩებს თანადგომისათვის. ეს იმის ნიშანია, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა მხარს გვიჭერს, – განაცხადა ქეთევან ციხელაშვილმა.

რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი ოკუპაციის პროცესის გაჩერების შესაძლებლობას დეოკუპაციის პროცესის დაწყებაში ხედავს.

– ოკუპაცია ხომ პროცესია, ყოველდღიური ცხოვრება! იგი დაიწყო 2008 წელს და გრძელდება ახლაც. რუსი რომ შედის ტუალეტში, ისიც ოკუპაციის პროცესია! დიდი ბოდიში, რა, ახლა, დავითვალოთ ეს ყველაფერი – ის, რომ ის სადილობს, რაღაცას აკეთებს, რუსეთი და ე.წ. სამხრეთი ოსეთი, რუსეთი და აფხაზეთი რომ რაღაც ხელშეკრულებებს დებენ ერთმანეთში, რომ ჯარები გადაადგილდებიან, რომ იცვლებიან, დროშებს რომ ასწევენ, რომ ვიღაც ჩავა – პუტინი ან მედვედევი?! – ყველაფერი ეს ოკუპაციის პროცესია. თქვენ შეგიძლიათ, კამერა დააყენოთ საოკუპაციო რეჟიმში, წახვიდეთ სახლში და ყოველდღე უყუროთ, იქ რა ხდება – რომ მზე ამოდის, მთვარე ამოდის, ჩიტები გადაფრინდებიან, ვიღაცა გაივლის-გამოივლის... ყველაფერი ეს ოკუპაციის პროცესია! ჩვენ ამ დროს სახელმწიფო უნდა ვაშენოთ, თქვენ კი უნდა უყუროთ, იქ რა ხდება. ჩვენ სახელმწიფოს ავაშენებთ და დადგება დრო, როცა თქვენ მიხვდებით ან, შეიძლება, ვერც მიხვდეთ ვერასდროს, რომ საქართველო ისეთი სხვანაირია, რომ ოსებსა და აფხაზებს ჩვენთან უნდათ ცხოვრება, როგორც ჩრდილოკავიპროსელს უნდა ცხოვრება კვიპროსზე, – ამბობს პაატა ზაქარეიშვილი „ფრონტ ნიუსთან“ საუბარში.

რაც შეეხება სახელმწიფო მინისტრის შეფასებას დვანში მცხოვრები სამი ოჯახის წინაშე, რომელთა სახლებიც გამყოფ ზოლს მიღმა მოხვდა, სახელმწიფოს ვალი მოხდილი აქვს.

– იმ სამი ოჯახის შენობები საომარი მოქმედებების ზონაში სხვა სახლებთან ერთად 2008 წლის აგვისტოში მოექცა. იმავე სოფელში 40-ზე მეტი ოჯახია დაზარალებული. ამ ოჯახებმა დანგრეული სახლების გამო წინა ხელისუფლებისგან მიიღეს კოტეჯებიც და კომპენსაციაც, რაც ჩვენს რეალობაში იშვიათი მოვლენაა. როგორც წესი, დაზარალებულების უდიდესმა ნაწილმა ან მხოლოდ კოტეჯები მიიღო, ან მხოლოდ კომპენსაცია. მიუხედავად ამისა, ჩვენ ვთვლით, რომ საჭიროა ვიმსჯელოთ და რაღაც ფორმით კიდევ ვიფიქროთ მათ დახმარებაზე. თუმცა სახელმწიფოს მათ წინაშე, როგორც სხვების წინაშე, თავისი ვალი მოხდილი აქვს, – განაცხადა ზაქარეიშვილმა.

საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების რიგით მეხუთე ფორუმში მიიღო მონაწილეობა, სადაც დიცსა და დვანში მიმდინარე მოვლენებზეც გაამახვილა ყურადღება.

ფორუმზე სიტყვით გამოსვლისას საგარეო უწყების ხელმძღვანელმა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ევროპული ინტეგრაციის პროცესში სამოქალაქო საზოგადოების მნიშვნელოვან როლზე ისაუბრა.

ასევე საუბარი შეეხო საქართველოს ხელისუფლების ხედვებს, ქვეყანაში წარმატებული რეფორმების განხორციელების კუთხით, სამოქალაქო საზოგადოების აქტიური ჩართულობის აუცილებლობას, ვილნიუსის მომავალ სამიტს, მოსამზადებელ და სამიტის შემდგომ პერიოდსა და პერსპექტივებს.

ფანჯიკიძემ თავის გამოსვლაში განსაკუთრებული ყურადღება საქართველოში, საოკუპაციო ხაზის გასწვრივ რუსეთის უკანონო ქმედებებზე გაამახვილა და ევროკავშირს შესაბამისი რეაგირებისთვის აღნიშნულ პროცესთან დაკავშირებით მწვავე გამოხმაურების გამო მადლობა გადაუხადა.

მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ „აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების“ მომდევნო ფორუმი საქართველოში გაიმართება და საქართველოს აღნიშნული კუთხით წარმატებები უსურვეს.

აღნიშნულ ღონისძიებას აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მინისტრები, ევროკომისარი გაფართოებისა და ევროპული სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში შტეფან ფულე, ევროკავშირის და მისი პარტნიორი ექვსი ქვეყნის სამოქალაქო საზოგადოების 250-მდე წარმომადგენელი ესწრებოდა.

ფორუმზე აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში მიმდინარე რეფორმების პროცესში სამოქალაქო საზოგადოების პრიორიტეტებსა და მის წვლილს განიხილავენ.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე ოფიციალური ვიზიტით მოლდოვის რესპუბლიკას გუშინ ეწვია.

გიორგი თარგამაძე მარნეულში ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდა

ქდმ-ის პრეზიდენტობის კანდიდატმა გამოსვლაში ეროვნული უმცირესობების ქართულ სახელმწიფო სივრცეში სრული ინტეგრაციის აუცილებლობას და ამ მხრივ სახელმწიფო ინსტიტუტების პასუხისმგებლობას გაუსვა ხაზი.

„ჩვენ მიზანს არ წარმოადგენს, ჩვენი აზერბაიჯანელი თუ სხვა ეროვნების წარმომადგენლების ასიმილაცია, ჩვენ უნდა ვიზრუნოთ მათი კულტურული იდენტობის შენარჩუნებაზე და ამავე დროს ხელი უნდა შევუწყოთ ერთიან ქართულ სახელმწიფო, პოლიტიკურ, კულტურულ და ეკონომიკურ სივრცეში მათ აქტიურ ინტეგრაციას“, – განაცხადა გიორგი თარგამაძემ.

პრეზიდენტობის კანდიდატი მიიჩნევს, რომ სახელმწიფომ საქართველოს რეგიონებში ეროვნული უმცირესობებისთვის სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამა უნდა გააქტიუროს.

პრეზიდენტობის კანდიდატი ასევე აჭარელ ეკო-მიგრანტებს ესაუბრა, რომლებიც მარნეულის რაიონის სოფლებში არიან.

პირველი

გიორგი მარგველაშვილი ოზურგეთელებს ბიძინა ივანიშვილმა წარუდგინა

როგორც კოალიცია „ქართული ოცნების“ პრეზიდენტობის კანდიდატმა ოზურგეთის ალექსანდრე წუწუნავას სახელობის თეატრში ამომრჩეველთან შეხვედრაზე განაცხადა, „ზუსტად ერთ თვეში საქართველოს თითოეული მოქალაქე ქვეყნის მართვაზე პასუხისმგებლობას აიღებს“.

მისივე თქმით, 27 ოქტომბრიდან ხალხი ძალაუფლებას ბოლომდე გადაიბარებს.

კოალიციის კანდიდატმა პრემიერ-მინისტრს მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ „ივანიშვილმა ზუსტად ერთი წლის წინ საზოგადოება გააერთიანა და ქვეყანა ხალხს დაუბრუნა“.

პრეზიდენტობის კანდიდატმა ადგილობრივ მოსახლეობას სიტყვით მიმართა და მთავრობის განხორციელებული რეფორმები გააცნო. ამასთან, იგი ადგილობრივებს პრობლემების მოგვარებას დაჰპირდა.

„მთავრობის მთავარი მიზანი ქართველი კაცის და საქართველოს მოქალაქეების ეკონომიკური აღორძინებაა, რაც სოფლიდან იწყება. აქტიურად მიმდინარეობს წყალსადენების შეკეთება, ხორციელდება სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი პროექტები, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. სექტემბრიდან ამოქმედდება კანონი კოოპერატივების შესახებ. ჩვენ ერთად დავიწყებთ კოოპერატივების შექმნას, რომელსაც დაეხმარება სპეციალური სააგენტო პროექტების მომზადების საკითხში. კოოპერატივი არის სოფლის მეურნეობის აღორძინების მნიშვნელოვანი რესურსი“, – განაცხადა მარგველაშვილმა.

პრეზიდენტობის კანდიდატმა 27 ოქტომბრის შემდგომ განსახორციელებელ ცვლილებებზეც ისაუბრა და ამომრჩევლებს აქტიურობისკენ მოუწოდა.

პირველი

სოზარ სუბარი: „ახალაიას საკანში გადაღებული კადრების გავრცელება უკვე კანონდარღვევაა“

სასჯელაღსრულების მინისტრის სოზარ სუბარის განცხადებით, ბაჩო ახალაიას საკანში გადაღებული კადრების გავრცელება უკვე კანონდარღვევაა, რადგან ამით კონფიდენციალურობის უფლება დაირღვა. როგორც ჟურნალისტებს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრმა სოზარ სუბარმა განუცხადა, პასუხი გაეცემა იმას, თუ როგორ გავრცელდა ბაჩო ახალაიას საკანში გადაღებული ვიდეომასალა. აღნიშნულზე გამოძიება უკვე დაწყებულია.

მინისტრის განმარტებით „პატიმრობის შესახებ“ კოდექსის მე-9 მუხლი ცნობს ვიზუალურ და ელექტრონულ თვალთვალს.

მედიანიუსი

თემურ ყვითელაშვილი: „50 წელს ისე გადავაბიჯე, არავის უკითხავს, როგორ ვცხოვრობ“

ეკა ირემაშვილი

7 ოქტომბერს თბილისის ივენთ ჰოლში ცნობილი გიტარისტის თემურ ყვითელაშვილის კონცერტი გაიმართება, რომელიც შემსრულებლის შემოქმედებიდან 40 წლის საიუბილეო თარიღს მიეძღვნება. რა სიურპრიზები ელოდება 7 ოქტომბერს თბილისის ივენთ ჰოლში მისულ მსმენელს, ამაზე „ახალ თაობას“ თემურ ყვითელაშვილი ესაუბრა.

თემურ ყვითელაშვილი:

– ალბომს ჰქვია „ჩემი თბილისი“. ეს ჩვენი განუმეორებელი და ბრწყინვალე ქალაქია, რომელიც ყველას ძალიან გვიყვარს. ალბომი განსხვავებულია სტილისტურად იმ მხრივ, რომ ეს არ არის მარტო ინსტრუმენტული, ეს არის ინსტრუმენტულ- ვოკალური ალბომი.

– ალბომში რამდენი სიმღერაა შესული?

– 11 სიმღერაა შესული, აქედან ორი არის ინსტრუმენტული კომპოზიცია, დანარჩენი 9 სიმღერაა. ორივე კომპოზიცია ჩემი დაწერილია. ეს ორი კომპოზიცია ხსნის და ხურავს ალბომს, დანარჩენი სიმღერები სპეციალურად ჩემთვის დაიწერა. შემიძლია ვთქვა, რომ ერთ-ერთი სიმღერა არის „ჩემო თბილისო“, რომელიც დაწერა ვაჟა აზარაშვილმა, მასზე კლიპიც არის გადაღებული და მსმენელი ამ სიმღერას კარგად იცნობს, თუმცა ამჯერად ჩვენ ეს სიმღერა სრულიად ახლებურად გავაკეთეთ, აქვს ახალი ჟღერადობა და მისი პრემიერაც ჩემს კონცერტზე შედგება. ამ სიმღერისთვის ტექსტი მაია სარალიძემ დაწერა. ჩემს ალბომში შეტანილია სიმღერები „გვფარვიდე, უფალო“, რომელიც ეძღვნება 9 აპრილის მოვლენებს. ეს არის ოთარ ტატიშვილის სიმღერა ირმა გურიელის ლექსზე, „ნოსტალგია“, მუსიკა ეკუთვნის რომა რცხილაძეს, ტექსტის ავტორია თენგიზ ჩხეიძე, „იმედი“ ოთხი გიას ერთ-ერთმა გიამ, გია ნაცვლიშვილმა დამიწერა, ტექსტი ეკუთვნის მის დას თინა ნაცვლიშვილს, „ღამის სიჩუმეში“, სიმღერაც და ტექსტიც ნუგზარ თუშიშვილისაა, „გულის ხმა“ სიმღერა ნუკრი აბაშიძემ დაწერა ნინა ნაცვლიშვილის ლექსზე, „შორეული გზები“ მერაბ მამულაშვილმა დაწერა ნუგზარ ერგემლიძის ლექსზე და ალბომში არის კიდევ ერთი სიმღერა, მარინა გოჩიტაშვილის „თბილისი“ და ტექსტიც მისია. ერთადერთი სიმღერა, რომელიც არ დაიწერა ჩემთვის, მაგრამ გავაკეთე ჩემი ალბომისთვის და საკმაოდ ორიგინალური გამოვიდა, არის გია ყანჩელის „ჰერიო, ბიჭებო“, მორის ფოცხიშვილის ლექსზე, რომელიც უფრო ინსტრუმენტული სიმღერა გამოვიდა, რადგან მხოლოდ ერთ სტროფს ვმღერი. ჩემი მუსიკალური კომპოზიციები სოლოგიტარის ნაწარმოებებია და ამ კომპოზიციებით გავხსნი და დავხურავ კონცერტს.

– ყველა ახალი სიმღერა შეიტანეთ თქვენს ალბომში?

– არა. კონცერტზე ასევე შევასრულებ კიდევ ერთ ახალ სიმღერას, რომელიც არც ალბომში შესულა და არც არსად შემისრულებია. ეს არის ოთარ ტატიშვილის სიმღერა. მას „ჩემს თბილისს ჰქვია“. მინდა, ეს სიმღერა ჩვენს საყვარელ ქალაქს ვაჩუქო.

– რატომ დატოვეთ ალბომს გარეთ ეს სიმღერა?

– იმიტომ, რომ ქრონომეტრაჟით საკმარისი იყო ის კომპოზიციები, რაც ალბომში შევიდა. მიმაჩნია, რომ ზომიერებაა საჭირო ყველაფერში. არ უნდა გადავამეტოთ არსებულ ზღვარს და არ უნდა შევიტანოთ ალბომში ბევრი კომპოზიციები, განა იმიტომ, რომ აღარ ეტევა, დღეს ისეთი ცხოვრება და იმის ფუფუნება გვაქვს, რომ შეიძლება შეიტანო საათ-ნახევრის მუსიკა, მაგრამ ეს არის ძალიან ბევრი, არ შეიძლება, მსმენელი დაღალო. ალბომი უნდა იყოს გარკვეული ქრონომეტრაჟით, რომელიც არ ბეზრდება ადამიანს და სიამოვნებით უსმენს. ჩემს ალბომში არის შესული იმდენი კომპოზიცია, რამდენიც მე ჩავთვალე საჭიროდ, არც მეტი და არც ნაკლები. საკმაოდ დიდი ალბომია, მრავალმხრივი ინფორმაციაა მოთავსებული და მჯერა, რომ მსმენელს მოეწონება.

– „ჩემი თბილისი“ თქვენი მერამდენე ალბომია?

– ეს არის ჩემი რიგით მერვე სოლოალბომი, რომლის ნაწილი ჩაიწერა საპატრიარქოს სტუდიაში, რეჟისორი გახლდათ მერაბ მამულაშვილი, მეორე ნაწილი ჩაიწერა „სანო სტუდიაში“, რეჟისორი გიორგი ქუთათელაძე, დაბალანსდა ალბომი „სანო სტუდიაში“, მასტერინგი გაკეთდა კონსერვატორიის დიდი დარბაზის სტუდიაში პავკა კვაჭაძის მიერ, დიზაინი ეკუთვნის ზურაბ მიმინოშვილს. უღრმესი მადლობა მინდა ვუთხრა კომპანია „შატო ზენგაანს“ და ტატულაშვილების ღვინის სახლს, რომლის დაფინანსებით ჩაიწერა და გამოიცა ალბომი. ეს ძალიან დიდი ბედნიერებაა.

მინდა აქვე აღვნიშნო, რომ ჩემი ყველა ალბომი ხარისხიანია. ეს ალბომიც არ არის გამონაკლისი, ყველამ ხელი შემიწყო და გვერდით დამიდგნენ. ასევე უღრმესი მადლობა მინდა ვუთხრა თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრის ხელმძღვანელ ნეკა სებისკვერაძეს და ყველა თანამშრომელს, მათ ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ ხარისხიანი გამოსულიყო ალბომიც და კონცერტიც. ყოველთვის აღვნიშნავ, რომ მათ ხელი მაქსიმალურად შემიწყვეს, მეფიქრა მხოლოდ მუსიკაზე. ამას ნამდვილად ვგრძნობ და უღრმესი მადლობა მათ.

– თქვენს კონცერტზე მხოლოდ თქვენ დაუკრავთ?

– რა თქმა უნდა, არა. კონცერტი გაიმართება ცოცხალი შესრულებით და ორკესტრის თანხლებით, ჩვენი ქვეყნის მუსიკალური სამყაროს წამყვანი ძალები მყავს თავმოყრილი – კლავიშებიანი ინსტრუმენტები – თემურ მაისაშვილი და გიორგი მაჭარაშვილი, პერკუსია – მერაბ სანოძე, ბასგიტარა – ლევან დეისაძე, დასარტყამები – ზაზა ცერცვაძე, გიტარა – თემურ ყვითელაშვილი უმცროსი. ასევე მეყოლებიან სტუმრები.

– ვინ?

– ის კომპოზიტორები, რომლებმაც ჩემთვის დაწერეს სიმღერები და შევიტანე ამ ალბომში. ისინი აუცილებლად ამოვლენ სცენაზე და კიდევ ერთხელ სახალხოდ გადავუხდი მადლობას. ასევე მინდა, მათ თვითონ გააკეთონ აკომპანიმენტი ბენდთან ერთად. კონცერტის მსვლელობისას ეკრანზე გავა ვიდეომასალა, რომელიც აღწერს თბილისს თბილისზე დაკავშირებული სიმღერების დროს, ხოლო სიმღერაზე „გვფარვიდე, უფალო“ გავა 9 აპრილის კადრები. ცოტა მძიმე კადრებიც გველოდება, მაგრამ ამის გარეშე ცხოვრება წარმოუდგენელია. ცხოვრება ცხოვრებაა და ყველაფერს თავისი სახელი უნდა დავარქვათ.

– როგორია წინასაკონცერტო მოლოდინი?

– ძალიან ვღელავ, განვიცდი, ღამეები არ მძინავს. კონცერტი იქნება ძალიან საინტერესო და ორიგინალური, წინასაკონცერტო ეიფორიაა, დამზადდა ჩემი ბანერი, რომელიც ჩემი სიმაღლისაა, რომ ვუყურებ, მეშინია, ხომ არ მელანდება-მეთქი, იბეჭდება აფიშები, მოსაწვევები.

– ბილეთებს არ გაყიდით?

– არა, ამ კონცერტზე დასწრება მხოლოდ მოსაწვევებით იქნება შესაძლებელი.

– თქვენი ახალი ალბომი კონცერტზე გაიყიდება?

– დიახ. ალბომის გაყიდვა მოხდება კონცერტის დღეს და თანაც საკმაოდ შეღავათიან ფასებში.

– რა ღირს?

– როგორც ვიცი, დარბაზში ჩემი ალბომი ეღირება 15 ლარი, მერე, ალბათ, მაღაზიები თვითონ მოუმატებენ ფასს, ამიტომ კონცერტზე მოსულებს ალბომის შეძენა პირველივე ხელიდან თავის ფასად შეეძლებათ. გარდა ამისა, გვექნება ავტოგრაფის ხელმოწერის სესიაც, ვინც შეიძენს ალბომს, მას ალბომზე ავტოგრაფს დავუტოვებ. ვთვლი, რომ ძალიან საინტერესო და ლამაზი ღონისძიება უნდა გამოვიდეს.

– მომღერლების უმეტესობა ამბობს, რომ არც ალბომის ჩაწერას აქვს აზრი და აღარც კლიპის გადაღებას, რადგან მათ ალბომს საქართველოში არავინ იყიდის. თქვენი ალბომი საქართველოში გაიყიდება?

– რა თქმა უნდა, საქართველოში ბაზარი მწირია, მაგრამ ჩემი ალბომი არა მარტო საქართველოში, არამედ უცხოეთშიც გაიყიდება. ყველა შემსრულებელს ჰყავს თავისი მსმენელი, მე ჩემი მსმენელი მყავს. ჩემთვის მთავარი არ არის რაოდენობა, ჩემთვის მთავარი ხარისხია. მგონია, რომ ჩემი ალბომის გარკვეული რაოდენობა საქართველოში გაიყიდება, იმიტომ, რომ ჩემი ალბომი საქართველოში ყოველთვის კარგად იყიდება. ამაზე ძალიან არ ვწუხვარ, ვისაც აინტერესებს, იმან უნდა იყიდოს. ძალიან კარგია, როცა ადრესატამდე მიდის პროდუქცია. ჩემს ალბომს ვინმე შემთხვევითი ადამიანი ვერ იყიდის, ჩემს ალბომს იყიდის ის, ვისაც უყვარს ჭეშმარიტი ხელოვნება და ხარისხიანი მუსიკა. ყველას თავისი მსმენელი ჰყავს, ამიტომაც ვამბობ, რომ ჩემი ალბომი საქართველოში გაიყიდება.

– ვოკალური ალბომი რატომ ჩაწერეთ, სერიოზულად ამღერდით?

– ეს არის ვოკალური ალბომი, მაგრამ გიტარასთან ერთად. გიტარა, რა თქმა უნდა, წინა პლანზეა. არ ვცემ პატივს ადამიანს, რომელიც ვერ მღერის, მაგრამ მაინც მღერის, იმიტომ, რომ უნდა, მრავალფეროვნება მისცეს ალბომს. შეიძლება, არ ამბობდეს, რომ ვერ მღერის, მაგრამ მოისმენ ალბომს და ფაქტები ლაპარაკობენ. ეს არ მიმაჩნია სწორად. როცა მოისმენთ ჩემს ალბომს, ვერ იტყვით, რომ ეს მრავალფეროვნებისთვის გავაკეთე. ალბომში ვმღერი იმიტომ, რომ ნამდვილად მემღერება, ვიცი ეს საქმე კარგად და ვაკეთებ ისე, როგორც ითხოვს ესა თუ ის სიმღერა. ეს არ არის ერთ დღეში გაკეთებული ალბომი, ამის მოფიქრებას, ჩაწერას, განხორციელებას ერთი წელი მოვუნდი. არის ალბომები, რომლებიც კეთდება ორ კვირაში და არის ალბომი, რომელიც კეთდება ერთ წელიწადში. ალბომის ჩაწერის პროცესშიც თითქმის იგივე მუსიკოსები მონაწილეობდნენ, ვინც კონცერტზე დაუკრავენ.

– თემურ ყვითელაშვილ-უმცროსზეც გვიამბეთ...

– ის სერიოზულად მეცადინეობს, 15 წლისაა და თავს არ ზოგავს. როდესაც ფილარმონიაში გამოვიდა პირველად, 11 წლის იყო და აღფრთოვანებული დარჩა მთელი დარბაზი. ახლა ბენდის შემადგენლობაში დაუკრავს და ერთ ნაწარმოებს ერთადაც შევასრულებთ. ისეთ რამეს დაუკრავს, რომ შეიძლება სოლოდ ჩაითვალოს, თუმცა ჩემი მხარდაჭერა სჭირდება.

– მიეჩვიეთ მის წარმატებას?

– მისი გამოსვლისას ვნერვიულობ, რა თქმა უნდა. რაც შეეხება მიჩვევას, როცა ადამიანს რაღაც თავში აუვარდება, ამას ვერასოდეს მივეჩვევი. ის იმ პროცესშია, როცა ადამიანი უნდა გაიზარდოს, უნდა წავიდეს წინ და სრულყოფილებისკენ უნდა ისწრაფვოდეს ადამიანი, ამას ყოველთვის მოვთხოვ, თვითონაც პასუხისმგებელია, უყვარს, რასაც აკეთებს და ეს უკვე ბევრს ნიშნავს.

– თქვენვე ხართ მისი პედაგოგი?

– რა თქმა უნდა, ყველაფერს ვასწავლი და ვაძრობ ტყავს.

– მკაცრი ხართ?

– საერთოდ, მკაცრი ვარ ცხოვრებაში, რბილი ხალხი არ მიყვარს. მკაცრს ვგულისხმობ კარგი გაგებით, როცა გაქვთ თქვენი პრინციპები ცხოვრებაში და მასზე დგახართ მყარად და არა ის, რომ აქეთ-იქით დახტიხართ. მკაცრი ვარ და მომთხოვნი, პირველ რიგში, საკუთარი თავის მიმართ და მერე უკვე სხვასთან. თუ შენს თავს სთხოვ, მხოლოდ მაშინ გაქვს უფლება, სხვას მოსთხოვო, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამის უფლება არ გაქვს. თუ თვითონ მოუწესრიგებელი ხარ, სხვას რა უნდა მოსთხოვო?

– უცხოეთში გაცილებით მეტ კონცერტებს ატარებთ, ვიდრე საქართველოში. რატომ?

– იმიტომ, რომ ძალიან მწირი ბაზარი გვაქვს. კონცერტი რომ ჩაატარო თბილისში, ეს დაკავშირებულია ძალიან დიდ თანხებთან, უცხოეთშიც დიდი თანხებია საჭირო, მაგრამ იქ გიწვევენ და იციან, რატომ და რისთვის აკეთებენ კონცერტს. ჩვენთან ცოტა სხვა ცხოვრების წესია საჭირო ამისთვის. როგორც ვცხოვრობდი 40 წლის წინ, ისე ვცხოვრობ დღესაც, ვგულისხმობ ჩემს ცხოვრების წესს, ჩემს პრინციპებს, ჩემს პოზიციას, ჩემს გაგებას, ჩემს პუნქტუალობას. ეს არ შეცვლილა. ხშირ შემთხვევაში, ადამიანებმა უნდა შეცვალონ ეს, რომ რაღაც მიიღონ, იმიტომაც, ალბათ, არაფერი არ მივიღე და, სიმართლე რომ ვთქვა, არც მინდოდა ასეთი მიღება. მიყვარს მიღება, როცა ამას იღებ შენი შრომით, შენი ნიჭით, შენი სწორი ცხოვრებით. ხალხის სიყვარული მივიღე, ჩემი ჯილდოები მივიღე, ვამაყობ, რომ ვარ ღირსების ორდენის კავალერი, ახალციხის საპატიო მოქალაქე, არაერთხელ დავსახელდი საუკეთესო გიტარისტად, დაკრული მაქვს საუკეთესო დარბაზებში და მოვლილი მაქვს მთელი მსოფლიო, ვატარებ მეცხრე სოლოკონცერტს ჩემს ქალაქში, გამოვიდა ჩემი მერვე სოლოალბომი, უმაღლესი დონის და ეს პატარა საქმეა? რა თქმა უნდა, ფულს ყველა ვერ ვიშოვით, რაც მოჭრილა, ფული ვერ ვიშოვე, მაგას პირდაპირ გეუბნებით, იმიტომ რომ, ფული რომ ვიშოვო, მაგისთვის სხვა რაღაცაა საჭირო, რომელსაც არასოდეს გავაკეთებ, ამიტომ ვცხოვრობ ასე მოკრძალებულად, მართალი ვარ ჩემს თავთან და ჩემს საქმეში ვარ მაგარი. ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ჩემს საქმეში ვგულისხმობ იმას, რომ მთლიანად ვარ თემურ ყვითელაშვილი. ამით ყველაფერი ნათქვამია.

– შემოქმედების 40 წლის იუბილეს ზეიმობთ.

– 40 წელი მთელი ცხოვრებაა, პატარა ბიჭი ხომ აღარ ვარ? გადავაბიჯე 50-ს, 53 წლის ვარ, ეგ არაფერია, თავს ისევ ახალგაზრდად ვთვლი, გული არ ბერდება, ყველაფერი წინ მაქვს, ბევრი გავაკეთე, ბევრიც გასაკეთებელი მაქვს, ცხოვრება გრძელდება და ვაგრძელებ სულითა და გულით.

– სხვა მოსწავლეებიც გყავთ თუ მხოლოდ თქვენს შვილს ამეცადინებთ?

– არა, მოსწავლეები არ მყავს, მხოლოდ კონსულტაციებს ვაძლევ მსურველებს, მათ შორის, ჩემი ასაკის ხალხსაც, მოქმედ გიტარისტებს არა მარტო საქართველოში, უცხოეთშიც. სისტემატურად ამის გაკეთებაც არ შემიძლია, ამიტომაც სტაბილური სტუდენტები არ მყავს, ძირითადად სემინარებითა და მასტერკლასებით შემოვიფარგლები.

– არც სტუდია გაქვთ?

– რა სტუდია?! ერთ ოთახში ვცხოვრობ. ასეთი ზეიმი ელოდება მსმენელს და არ მინდა, ახლა პრობლემებზე ვისაუბრო, ეს სულ სხვა თემაა, მაგრამ ერთს ვიტყვი, ცხოვრებაში ჩემთვის ნამდვილად უნდა ეკითხათ ვიღაც-ვიღაცებს, რამე ხომ არ გჭირდება? როგორ ცხოვრობ? სად გძინავს? არავის უკითხავს, ისე გადავაბიჯე 50 წელს, ვისაც ეს ეხებოდა, იმიტომ, რომ ვცხოვრობ სწორი პრინციპებითა და წესებით, ეს არ მოსწონთ ვიღაცებს, არ ვერგები არავის და არაფერს და მორჩა. როცა მეკითხებიან, შეცვლიდი თუ არა რამესო, ვამბობ, რომ არაფერს შევცვლიდი, რადგან კმაყოფილი ვარ ჩემი ცხოვრების სტილით, ვამაყობ, რომ ყველაფერს საკუთარი შრომით მივაღწიე და ამაში ძვირია გადახდილი. ამაში, რა თქმა უნდა, ფულს არ ვგულისხმობ, იოლად არაფერი მომსვლია, თავდაუზოგავ შრომაზეა ლაპარაკი, მოვიკელი ცხოვრებაში ბევრი რამ, ბევრ პრობლემას გავუძელი და ვუძლებ დღესაც, მაგრამ არ წავიდი იმ კომპრომისებზე, რაც შეურაცხყოფს ჩემს თავმოყვარეობას. მთავარია, უკან რომ ვიხედები, არაფრის მეშინია და ეს უდიდესი სიამოვნებაა.

– ისრაელში კონცერტი ჩაატარეთ?

– ისრაელში მქონდა კონცერტი 2011 წელს. ეს იყო პირველი და უკანასკნელი, ალბათ. ქვეყნებს არ ვყოფ კატეგორიებად, სოფელი იქნება თუ ქალაქი, ყველგან დავუკრავ. როცა მოსახლეობის 99 პროცენტია დაპატიჟებული და შენ არ გეპატიჟებიან, ე.ი. რაღაცაშია საქმე. ეს უნდა მოხდეს ბუნებრივად და ხალასად.

– საქართველოში მასობრივად გამართულ უფასო კონცერტებზე რატომ არ უკრავდით?

– უფასო კონცერტებსაც ყოველთვის ჩავატარებ. ცოტა ხნის წინ ქარელში სასწავლო წლის დაწყება მივულოცე ადგილობრივებს და 40-წუთიანი კონცერტი ჩავატარე. ყოველთვის მზად ვარ, უფასოდ დავუკრა და საქველმოქმედო კონცერტები ჩავატარო. არის კონცერტები, რომლებზეც უნდა გადაგიხადონ. მუსიკა არის ჩემთვის ყველაფერი, ჩემი ცხოვრებაა, სხვა ბიზნესი არ გამაჩნია, მაგრამ ამითაც ფულს არ ვაკეთებ. ეს ჩემი პროფესია არ არის, ეს ჩემი ცხოვრებაა, ცხოვრებით კი ფული არ კეთდება. ეს არის მაღალი ხელოვნება. პროფესიით გიტარისტი გამოვდივარ, თან, როცა კონცერტს ატარებ, მუშაობ, რა თქმა უნდა და ჰონორარიც გეკუთვნის, მაგრამ სულ ფულზე ფიქრიც არ შეიძლება. თბილისის ივენთ ჰოლში დაგეგმილ კონცერტში, რა თქმა უნდა, არაფერს არ ავიღებ.

– ვიწრო სივრცე რატომ აირჩიეთ კონცერტისთვის?

– ეს ყველაფერი ჩემზე არ არის დამოკიდებული. დიდი საკონცერტო დარბაზი ძალიან ძვირი ღირს, ამიტომ ორგანიზატორებმა კონცერტის ჩასატარებლად თბილისის ივენთ ჰოლი შეარჩიეს. მადლობა ყველას, ვინც მხარში დამიდგა. კონცერტი მოსაწვევებით ჩატარდება, აქ კი მხოლოდ 650 ადამიანი ეტევა. მათ, ვინც ვერ მოხვდება ჩემს კონცერტზე, დავამშვიდებ და ვეტყვი, რომ კონცერტს გადაიღებენ ტელევიზიები და მას აუცილებლად აჩვენებენ.

იტალიაში გრანდების ტურია

ინგლისი

05.10	სიტი-ევერტონი	1.57	4.33	5.0
05.10	კარდიფი-ნიუკასლი	2.37	3.4	2.9
05.10	ჰალი-ასტონ ვილა	2.3	3.3	3.1
05.10	ფულემი-სტოკი	2.3	3.3.	3.1
05.10	ლივერპული-კრ.პალასი	1.22	6.0	13.0
05.10	სანდერლენდი-მანჩესტერი	5.5	4.0	1.6
06.10	ნორვიჩი-ჩელსი	5.5	4.0	1.6
06.10	საუთჰემპტონი-სუონსი	2.05	3.4	3.6
06.10	ვესტ ბორმვიჩი-არსენალი	4.1	4.0	1.75
06.10	ტოტენჰემი-ვესტ ჰემი	1.44	4.4	7.0

სიტი-ევერტონი

სიტი: ***ტრავმ***-ჯეკ როდვეილი, მარტინ დემიკელისი

ევერტონი:***ტრავმ***-კევინ მირალესი, სტივენ პიენაარი, ანტოლინ ალკარაზი

ჯარდიფი-ნიუკასლი

კარდიფი: ***ტრავმ***-ანდრეას კორნელიუსი

ნიუკასლი: ***ტრავმ***-სტივენ ტეილორი, ხონას გუტიერესი

ჰალი-ასტონ ვილა

ჰალი: ***ტრავმ***-რობი ბრეიდი, ჯეიმს ჩესტერი, რობერტ კორენი

ასტონ ვილა:***ტრავმ***-გაბრიელ აგბონლაჰორი, კრისტიან ბენტეკე, ეშლი ვესტვუდი, იორის ოკორე, ჩარლზ ნზოგბია

ფულემი-სტოკი

ფულემი: ***ტრავმ***-სკოტ პარკერი, მეტიუ ბრიგი, აარონ ჰაგესი, მარტინ სტეკელენბურგი

სტოკი: ***ტრავმ***-ჯონათან უოლტერსი, მეტიუ ეტერინგტონი

ლივერპული-კრ.პალასი

ლივერპული: ***ტრავმ***-ჯო ალენი, კოუტინიუ, გლენ ჯონსონი, ალი სისოსკო

კრ.პალასი:***ტრავმ***-დამიენ დელანეი, ჯონათან უილიამსი

სანდერლენდი-მანჩესტერი

სანდერლენდი: ***ტრავმ***-ანდრეა დოსენა, ვესლი ბრაუნი, ფილ ბიორდსლი

მანჩესტერი: ***ტრავმ***-უეინ რუნი, რიო ფერდინანდი, დარენ ფლეტჩერი

ნორვიჩი-ჩელსი

ნორვიჩი: ***ტრავმ***-ხავიერ გარიდო, ნათან რედმონდი, სებასტიან ბასონგი

ჩელსი: ***ტრავმ***-ედენ აზარი, ფერნანდო ტორესი, მარკო ვან გინკელი

საუთჰემპტონი-სუონსი

საუთჰემპტონი: ***ტრავმ***-არავინ

სუონსი: ***ტრავმ***-ანგელ რანგელი, ეშლი უილიამსი

ვესტ ბორმვიჩი-არსენალი

ვესტ ბორმვიჩი: ***ტრავმ***-სტეფან სესინიონი, ვიქტორ ანიშებე, ჯეიმს მორისონი, ნიკოლას ანელკა, შონ ლონგი, სკოტ სინკლერი, კრის ბრუნტი, მატეი ვიდრა, ბენ ფოსტერი, ზოლტან გერა

არსენალი: ***ტრავმ***-ბაქარი სანია, ტეო უოლკოტი, სანტი კაზორლა, იაია სანოგო, ლუკაშ პოდოლსკი, ალექს ოქსლეიდ ჩემბერლენი, აბუ დიაბი

ტოტენჰემი-ვესტ ჰემი

ტოტენჰემი: ***ტრავმ***-იუნის ქაბული, ეტიენ კაპუ, აარონ ლენონი

ვესტ ჰემი: ***ტრავმ***-ჯო კოული, ალუ დიარა, ენდი კეროლი

სატურნირო ცხრილი:

1.არსენალი	6	5	0	1	13:7	15
2.ლივერპული	6	4	1	1	8:4	13
3.ტოტენჰემი	6	4	1	1	6:2	13
4.ევერტონი	6	3	3	0	9:6	12
5.ჩელსი	6	3	2	1	7:3	11
6.საუთჰემპტონი	6	3	2	1	5:2	11
7.სიტი	6	3	1	2	14:7	10
8.ჰალი	6	3	1	2	5:7	10
9.ასტონ ვილა	6	3	0	3	9:8	9
10.ვესტ ბრომვიჩი	6	2	2	2	6:5	8
11.კარდიფი	6	2	2	2	6:7	8
12.მანჩესტერი	6	2	1	3	8:8	7
13.სუონსი	6	2	1	3	8:9	7
14.ნორვიჩი	6	2	1	3	4:6	7
15.სტოკი	6	2	1	3	4:6	7
16.ნიუკასლი	6	2	1	3	7:11	7
17.ვესტ ჰემი	6	1	2	3	4:5	5
18.ფულემი	6	1	1	4	4:9	4
19.კრ.პალასი	6	1	0	5	4:10	3
20.სანდერლენდი	6	0	1	5	4:14	1

ესპანეთი

05.10 ელჩე-ესპანიოლი	2.5	3.2	2.87
05.10 რაიო-სოსიედადი	3.1	3.4	2.25
05.10 ლევანტე-რეალი	8.5	5.0	1.35
05.10 ბარსელონა-ვალიადოლიდი	1.12	8.5	19.0
06.10 ატლეტიკო-სელტა	1.25	6.0	11.0
06.10 სევილია-ალმერია	1.5	4.4	6.0
06.10 ხეტაფე-ბეტისი	2.45	3.25	2.9
06.10 ბილბაო-ვალენსია	2.15	3.75	3.0

ელჩე-ესპანიოლი

ელჩე: ***ტრავმ***-ედუ ალბაქარი, კრისტიან საპურანუ; ***დისკვ***-ალბერტო ბოტია

ესპანიოლი:***ტრავმ***-ექტორ მორენო

რაიო-სოსიედადი

რაიო:***ტრავმ***-სებასტიან ფერნანდესი, ხოსე კარლოსი

სოსიედადი:***ტრავმ***-ხავი პრიეტო, დანიელ ესტრადა, ესტებან გრანერო, დიეგო იფრანი

ლევანტე-ჰეაღი

ლევანტე: ***ტრავმ***-არავინ

რეალი: ***ტრავმ***-გარეთ ბეილი, ხაბი ალონსო

ბარსელონა-ვალიადოლიდი

ბარსელონა: ***ტრავმ***-ხავიერ მასკერანო, ლეო მესი, ხორდი ალბა, იბრაჰიმ აფელაი, ისააკ კუენკა

ვალიადოლიდი: ***ტრავმ***-ლუის სასტრე, ოსკარი, ალვარო რუბიო

ატლეტიკო-სელტა

ატლეტიკო: ***ტრავმ***-რაულ გარსია, ადრიანი

სელტა: ***ტრავმ***-სამუელ ლორკა

სევილია-ალმერია

სევილია:***ტრავმ***-ფერნანდო-ნავარო, დენის ჩერიშევი, ვიტოლო, სტეფან მბია, ხოსე ანტონიო რეიესი; დისლვ-კალა

ალმერია: ***ტრავმ***-მარსელო სილვა

ხეტაფე-ბეტისი

ხეტაფე: ***ტრავმ***-სერხიო ესკუდერო, ლაფიტა, ვალერა

ბეტისი: ***ტრავმ***-რუბენ კასტრო, ედერ ვილარჩაო

ბილბაო-ვალენსია

ბილბაო: ***ტრავმ***-იბაი გომესი, არიტც ადურისი, მიკელ ბელენზიაგა, კიკე სოლა

ვალენსია:***ტრავმ***-ელდერ პოშტიგა, დიეგო ალვესი, ჟოაო ერეირა

სატურნირო ცხრილი:

1.ბარსელონა	7	7	0	0	24:5	21
2.ატლეტიკო	7	7	0	0	19:5	21
3.რეალი	7	5	1	1	13:7	16
4.ვილიარეალი	7	4	2	1	12:7	14
5.ბილბაო	7	4	0	3	12:12	12
6.ვალენსია	7	4	0	3	10:10	12
7.ესპანიოლი	7	3	2	2	10:9	11
8.ხეტაფე	7	3	1	3	9:9	10
9.ლევანტე	7	2	4	1	6:11	10
10.მალაგა	7	2	3	2	11:6	9
11.ბეტისი	7	2	2	3	7:7	8
12.გრანადა	7	2	2	3	5:5	8
13.სოსიედადი	7	1	4	2	6:8	7
14.სევილია	7	1	3	3	11:13	6
15.სელტა	7	1	3	3	7:10	6
16.ვალიადოლიდი	7	1	3	3	6:9	6
17.ელჩე	7	1	3	3	6:10	6
18.ალმერია	7	0	3	4	10:17	3
19.ოსასუნა	7	1	0	6	5:13	3
20.რაიო	7	1	0	6	5:21	3

იტალია

05.10 კიევო-ატალანტა	2.25	3.2	3.3
05.10 ინტერი-რომა	2.37	3.4	2.9
06.10 პარმა-სასუოლო	1.65	4.0	5.0
06.10 უდინეზე-კალიარი	1.85	3.5	4.33
06.10 ნაპოლი-ლივორნო	1.25	3.3	3.4
06.10 ბოლონია-ვერონა	2.2	3.3	3.3
06.10 კატანია-ჯენოა	2.15	3.3	3.4
06.10 სამპდორია-ტორინო	2.4	3.1	3.1
06.10 ლაციო-ფიორენტინა	2.37	3.4	2.9
06.10 იუვენტუსი-მილანი	1.6	4.0	5.5

ჯიევო-ატალანტა

კიევო: ***ტრავმ***-დარიო დაინელი

ატალანტა:***ტრავმ***-გულიო მილაჩიო, რიკარდო კაზორლა

ინტერი-რომა

ინტერი:***ტრავმ***-უგო კამპაგნარო, გაბი მუდინგაი, მაკდონალდ მარიგა, კრისტიან კივუ, ხავიერ ძანეტი

რომა: ***ტრავმ***-ადემ ლაიაჩი, მაიკონი, მაიკლ ბრედლი, მატია დესტრო

პარმა-სასუოლო

პარმა: ***ტრავმ***-ჯოელ ობი, დანიელე გალოპა;***დისკვ***-მარკო მარკიონი, ამაური

სასუოლო: ***ტრავმ***-ლუკა ანტეი, მარსელო გაზოლა, ემანუელ ტერანოვა

უდინეზე-კალიარი

უდინეზე:***ტრავმ***-ლუის მიურელი, მაურისიო დომიცი

კალიარი:***ტრავმ***-ალბინ ეკდალი, ანდრეა კოსუ, ფრანჩესკო პისანო;***დისკვ***-დანიელე კონტი

ნაპოლი-ლივორნო

ნაპოლი: ***ტრავმ***-გონსალო იგუანი, კრისტიან მაჯო

ლივორნო: ***ტრავმ***-ჯუზეპე ჯემიტი, მარკო ბიაჯიანტი

ბოლონია-ვერონა

ბოლონია:***ტრავმ***-მიქელე პაციენცა, არჰიმედ მორლეო;***დისკვ***-ჩეზარე ნატალე

ვერონა: ***ტრავმ***-ვანგელის მორასი, ემილ ალფრედსონი

ჯატანია-ჯენოა

კატანია: ***ტრავმ***-პაბლო ალვარესი, ნიკოლას სპოლი

ჯენოა: ***ტრავმ***-ლუკა ანტონინი, ტომას მანფრედინი, ლუკა ანტონელი

სამპდორია-ტორინო

სამპდორია:***ტრავმ***-დავიდე გავაზი, ედერი; ***დისკვ***-ანდრეა კოსტა, ნენად კრსტიჩი

ტორინო:***ტრავმ***-გილერმო როდრიგესი, ომარ ელ კადური, ჩირო იმობილე, ჯუზეპე ვივესი, მარსელო ლაროდო

ლაციო-ფიორენტინა

ლაციო: ***ტრავმ***-მიროსლავ კლოზე, აბდულაი კონკო, ბრუნო პერეირა, დიეგო ნოვატერი, ჯუზეპე ბიავა, შტეფან რადუ, სტეფანო მაური

ფიორენტინა: ***ტრავმ***-ანტე რებიჩი, ჯუზეპე როსი, მანუელ პასკუალი, ოლექსანდრ იაკოვენკო, მარიო გომესი

იუვენტუსი-მილანი

იუვენტუსი: ***ტრავმ***-კარლოს ტევესი, სიმონე პეპე

მილანი: ***ტრავმ***-ვალტერ ბირსა, კაკა, სტეფან ელ შაარავი, დანიელე ბონერა, ჯანპაოლო პაციენ; ***დისკვ***-მარიო ბალოტელი

სატურნირო ცხრილი:

1.რომა	6	6	0	0	17:1	18
2.ნაპოლი	6	5	1	0	14:4	16
3.იუვენტუსი	6	5	1	0	11:4	16
4.ინტერი	6	4	2	0	16:3	14
5.ფიორენტინა	6	3	2	1	13:7	11
6.ლაციო	6	3	1	2	11:10	10
7.ვერონა	6	3	1	2	9:9	10
8.ლივორნო	6	2	2	2	8:6	8
9.მილანი	6	1	2	2	11:10	8
10.ტორინო	6	2	2	2	8:8	8
11.უდინეზე	6	2	1	3	7:8	7
12.კალიარი	6	1	4	1	8:9	7
13.ატალანტა	6	2	0	4	8:10	6
14.პარმა	6	1	3	2	8:11	6
15.ჯენოა	6	1	1	4	5:10	4
16.კატანია	6	1	1	4	4:10	4
17.კიევო	6	1	1	4	5:12	4
18.ბოლონია	6	0	3	3	7:16	3
19.სამპდორია	6	0	2	4	4:10	2
20.სასუოლო	6	0	2	4	4:18	2

გერმანია

05.10 ვოლფსბურგი-ბრაუნშვაიგი	1.28	5.5	10.0
05.10 შტუტგარტი-ვერდერი	1.75	4.0	4.2
05.10 მაინცი-ჰოფენჰაიმი	2.3	3.6	2.87
05.10 გლადბახი-დორტმუნდი	4.33	4.0	1.73
05.10შალკე-აუგსბურგი	1.8	3.75	4.2
05.10 ლევერკუზენი-ბაიერნი	4.5	4.2	1.67
06.10 ნიურნბერგი-ჰამბურგი	2.4	3.5	2.8
06.10 ფრაიბურგი-აინტრახტი	2.6	3.4	2.62

ვოლფსბურგი-ბრაუნშვაიგი

ვოლფსბურგი: ***ტრავმ***-ვიერია

ბრაუნშვაიგი:***ტრავმ***-მარიან პეტკოვიჩი, მარსელო კორეა

შტუტგარტი-ვერდერი

შტუტგარტი: ***ტრავმ***-მორის ლეიტნერი, სვენ ულრიხი, დანიელ დიდავი

ვერდერი: ***ტრავმ***-სედრიკ მაკაიდი, ოზკან ილდრიმი, ალეკსანდრ იგნიოვსკი; ***დისკვ***-ფრანკო დი სანტო

მაინცი-ჰოფენჰაიმი

მაინცი: ***ტრავმ***-ბო სვენსონი, ჯულიან ბაუმგარტნერი, შონ პარკერი

ჰოფენჰაიმი:***ტრავმ***-ტიმ ვიზე, მეტიუ დელპიერი, ბორის ვუკჩევიჩი

გლადბახი-დორტმუნდი

გლადბახი: ***ტრავმ***-ფილიპ დაემსი

დორტმუნდი: ***ტრავმ***-მარსელ შმელცერი, სებასიან კელი, ილკაი გუნდოგანი

შალკე-აუგსბურგი

შალკე:***ტრავმ***-ჯეფერსონ ფარფანი, კლაას-იან ჰუნტელაარი, ჩინედი ობასი, კირიაკოს პაპადოპულოსი

აუგსბურგი: ***ტრავმ***-რაულ ბობადილა

ლევერკუზენი-ბაიერნი

ლევერკუზენი: ***ტრავმ***-არავინ

ბაიერნი:***ტრავმ***-ხავი მარტინესი, ტიაგო ალკანტარა

ნიურნბერგი-ჰამბურგი

ნიურნბერგი:***ტრავმ***-დანიელ გინსეკი, დანიელ გინსეკი, ტიმო გებჰარტი

ჰამბურგი: ***ტრავმ***-ტომას რინკონი, ივო ილიჩევიჩი, დენის დიკმაიერი

ფრაიბურგი-აინტრახტი

ფრაიბურგი:***ტრავმ***-მენსურ მუჯდაი, ვაცლავ პილარი, მარკო ტერაზინო; ***დისკვ***-ფალუ დიაგნე

აინტრახტი: ***ტრავმ***-იან როზენტალი, პირმინ შვეგლერი

სატურნირო ცხრილი:

1.დორტმუნდი	7	6	1	0	21:5	19
2.ბაიერნი	7	6	1	0	14:2	19
3.ლევერკუზენი	7	6	0	1	17:7	18
4.ჰერტა	7	3	2	2	13:8	11
5.შტუტგარტი	7	3	1	3	15:9	10
6.გლადბახი	7	3	1	3	17:13	10
7.აუგსბურგი	7	3	1	3	8:11	10
8.ვერდერი	7	3	1	3	8:11	10
9.ჰოფენჰაიმი	7	2	3	2	17:17	9
10.ჰანოვერი	7	4	0	3	10:10	9
11.ვოლფსბურგი	7	3	0	4	9:9	9
12.მაინცი	7	3	0	4	10:15	9
13.აინტრახტი	7	2	2	3	10:12	8
14.შალკე	7	2	2	3	10:16	8
15.ჰამბურგი	7	1	2	4	12:19	5
16.ნიურნბერგი	7	0	5	2	9:12	5
17.ფრაიბურგი	6	0	3	4	8:17	3
18.ბრაუნშვაიგი	7	0	1	6	3:18	1

საფრანგეთი

05.10 მონაკო-სტ.ეტიენი	1.53	3.8	6.5
05.10 ნანტი-ევიანი	1.85	3.4	4.4
05.10 გენგამი-რენი	2.3	3.1	3.3
05.10 ვალანსიენი-რეიმსი	2.25	3.2	3.3
05.10 ლილი-აიაჩო	1.33	4.75	10.0
05.10 ტულუზა-ნიცა	1.95	3.25	4.2
06.10 მონპელიე-ლიონი	2.3	3.2	3.2
06.10 ბორდო-სოშო	1.57	3.6	7.0
06.10 მარსელი-პსჟ	4.0	3.4	1.95

მონაკო-სტ.ეტიენი

მონაკო:***ტრავმ***-ჯერემი ტულალანი

სტ.ეტიენი:***ტრავმ***-ბენჯამინ კორნე, ლოიკ პერინი, იდრის საადი, ჯონათან ბრისონი, ბრანდაო

ნანტი-ევიანი

ნანტი: ***ტრავმ***-ბანელ ნიკოლიტა, იოან ეუდელი

ევიანი: ***ტრავმ***-ჯონათან მენსა, ფაბრის ერე, მარკო რუბენი

გენგამი-რენი

გენგამი: ***ტრავმ***-მარტინს პერეირა, მამადუ სამასა

რენი: ***ტრავმ***-ანდერს კონდრესენი, ვესლი საიდი, ჯონ ბოიე, სტივენ მორეირა

ვალანსიენი-რეიმსი

ვალანსიენი: ***ტრავმ***-რუდი მატერი, მარკო და სილვა

რეიმსი:***ტრავმ***-მადს ალბაეკი, გაეტან კურტი, კრისტიფერ გლომბარდი, ფრანკ სინორინო

ლილი-აიაჩო

ლილი: ***ტრავმ***-რაიან მენდესი

აიაჩო: ***ტრავმ***-სიგამარი დიარა, ჯუნიორ ტალო, დენის ოლიეხი, რიკარდო ფატი

ტულუზა-ნიცა

ტულუზა: ***ტრავმ***-ჟან-დანიელ აკპა აკპრო

ნიცა: ***ტრავმ***-ერიკ ბოტე, ვალენტინ იესერიჩი, მაჰამანე ტრაორე, ხავიერ პენტეკოტე

მონპელიე-ლიონი

მონპელიე: ***ტრავმ***-ქარიმ აიტ-ფანა, გარი ბოკალი

ლიონი: ***ტრავმ***-გუეიდა, ანტონი ლოპესი, მილან ბიშევაჩი, მუჰამადუ დაბო, იოან გურკუფი, ჟილ დანიჩი

ბორდო-სოშო

ბორდო:***ტრავმ***-ანდრე ბიოკო პოკო, მეტიუ ჩალმე, ჟულიენ ფობერი

სოშო: ***ტრავმ***-ჯერომ რუსილონი

მარსელი-პსჟ

მარსელი: ***ტრავმ***-ჯერემი მორელი, ანდრე-პიერ ჟინიაკი

პსჟ:***ტრავმ***-ალექსი, ტიაგო სილვა

სატურნირო ცხრილი:

1.მონაკო	8	5	3	0	14:4	18
2.პსჟ	8	5	3	0	12:4	18
3.მარსელი	8	5	2	1	12:5	17
4.ლილი	8	4	2	2	8:4	14
5.ნიცა	8	4	2	2	11:9	14
6.ნანტი	8	4	1	3	11:8	13
7.სტ.ეტიენი	8	4	1	3	11:9	13
8.რენი	8	3	3	2	8:8	12
9.ლიონი	8	3	2	3	12:7	11
10.რეიმსი	8	2	5	1	6:5	11
11.მონპელიე	8	1	6	1	9:11	9
12.ბასტია	8	2	3	3	7:10	9
13.ტულუზა	8	2	3	3	6:10	9
14.ევიანი	8	2	3	3	10:14	9
15.გენგამი	8	2	2	4	10:10	8
16.აიაჩო	8	1	4	3	7:9	7
17.ბორდო	8	1	4	3	7:11	7
18.ლორიენი	8	2	1	5	6:11	7
19.სოშო	8	1	2	5	6:14	5
20.ვალანსიენი	8	1	0	7	4:14	3

ავთანდილ ებრალიძე: „მშვიდად ვარ!“

კარგა ხანია, საქართველოს წამყვან ევროპულ ჩემპიონატში ფეხბურთელი არ ჰყოლია. ტოპ-ჩემპიონატებს ვგულისხმობთ. სადღეისოდ ჩვენი მაქსიმუმი ჰოლანდია და იქაური „ვიტესი“ იყო, სხვა მხრივ რუსეთ-უკრაინას ვერ გავცდით. და უცებ ქართველი ფეხბურთელი პორტუგალიაში გამოჩნდა. საუბარია პორტუგალიის ა ლიგაში „ჟილ ვისენტეს“ შემტევ ნახევარმცველ ავთანდილ ებრალიძეზე, რომელსაც 3 ოქტომბერს 22 წელი შეუსრულდა.

– ეს არის ქართველი ბიჭის ისტორია, რომელიც პორტუგალიაში მშობლებთან ერთად ემიგრაციაში ჩამოვიდა და ა ლიგაში თამაშობს. სექტემბრის თვე ავთანდილ ებრალიძისთვის, ემოციებით აღსავსე აღმოჩნდა – ის „ოლივეირენსედან“ „ჟილ ვისენტეში“ გადავიდა და ორი კვირის შემდეგ მას სტადიონ „დრაგაუზე“ დებიუტი პორტუგალიურ გრანდთან, „პორტუსთან“ ჰქონდა. ებრალიძე თბილისში, საქართველოს დედაქალაქში, 22 წლის წინ დაიბადა. პორტუგალიაში 16 წლის ასაკში მშობლების თანხლებით ჩამოვიდა, – წერს პორტუგალიური მედია.

– მამაჩემი პორტუგალიაში, ქალაქ ლაგოსში სამუშაოდ ჩამოვიდა. შემდეგ მე და დედა ჩამოვედით და თამაში „ლაგოს დე ესპერანსას“ ახალგაზრდულ გუნდში დავიწყე, – ამბობს ებრალიძე.

შემდეგ მან „ლაგოს დე ესპერანსადან“ არცთუ ხანგრძლივი პერიოდით ესპანეთის „ხეტაფეს“ ახალგაზრდულ გუნდს მიაშურა.

– „ხეტაფეს“ ახალგაზრდულ გუნდში ვთამაშობდი, ხოლო პორტუგალიაში დაბრუნების მერე ისევ „ლაგოს დე ესპერანსას“ პირველ გუნდში ჩავირიცხე, – აგრძელებს ავთო თავისი კარიერის შესახებ საუბარს.

აქედან მოყოლებული, ავთოს კარიერაში აღმასვლა დაიწყო და „ესპერანსადან“ ლაგოსის „ჟუვენტუდ ევოლაში“ მოხვდა. ამ გუნდიდან „ოლივეირენსეს“ მიაშურა, სადაც „ჟილ ვისენტეში“ გადასვლამდე გამოდიოდა.

– პრიმეირალიგაში თამაშზე ყოველთვის ვოცნებობდი. ვიცოდი, რომ უნდა მეშრომა და ბოლომდე რწმენა მქონოდა, – განაცხადა მან.

ახალ გუნდში მას დებიუტი „პორტუსთან“ სტადიონ „დრაგაუზე“ ჰქონდა, რაც ფეხბურთელისთვის დაუვიწყარია.

– ეს დაუჯერებელი რამ იყო. თითქოს სიზმარში მოვხვდი. ძალიან კარგი თამაში გამოვიდა და ოცნებაც ავიხდინე. ძალიან ძლიერი შთაბეჭდილებების ქვეშ ვიყავი. ჩემი მიზანია, რომ იმდენი ვითამაშო, რამდენის შესაძლებლობაც მექნება, რათა გუნდს საგოლე პასებითა და გატანილი გოლებით დავეხმარო, რომ „ჟილ ვისენტემ“ პრიმეირალიგაში ადგილი შეინარჩუნოს. არ ველოდები, მეყოლთვის ვითამაშებ, მაგრამ, იმედია, საკუთარი შესაძლებლობების უკეთესად წარმოჩენის შანსი, მექნება, – აღნიშნა 22 წლის შემტევმა.

ებრალიძეს იმედი აქვს, რომ საქართველოს ეროვნულ ნაკრებში გამოიძახებენ:

– საქართველოს ნაკრებში თამაში მსურს. თუ აქ ბევრ მატჩს ჩავატარებ და მოვითმენ, ვფიქრობ, შესაძლოა, შანსი მომცენ. მშვიდად ვარ და იქნებ დადგეს დღე, როდესაც ნაკრებში გამომიძახებენ.

კვირას „ჟილ ვისენტე“ საკუთარ მოედანზე „პაკუშ დე ფერეირას“ ეთამაშება. ავთოს მშობლები ლაგოსიდან თამაშზე დასასწრებად ბარსელუშში უნდა ჩავიდნენ. აღსანიშნავია, რომ „ჟილ ვისენტეს“ პრეზიდენტმა ანტონიო ფიუზამ მათი მგზავრობა დააფინანსა.

ბარაქ ობამამ აზიაში ვიზიტი გააუქმა

აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაქ ობამამ ფედერალური უწყებების მუშაობის შეწყვეტის გამო აზიაში ვიზიტი გააუქმა. ამის შესახებ „როიტერი“ იუწყება. გავრცელებული ინფორმაციით, აშშ-ის ლიდერი არ დაესწრება ორ სამიტს, მათ შორის ინდონეზიაში გასამართ აზია-წყნარი ოკეანის ეკონომიკური თანამშრომლობის შეხვედრას.

„მიღებული გადაწყვეტილება მთავრობის მუშაობის შეჩერების გამო უცხოეთში მოგზაურობის სირთულეებს უკავშირდება“, – განაცხადეს თეთრ სახლში.

ამასთან, ჩაიშალა ინდონეზიაში „აპეკის“ შეხვედრის ფარგლებში დაანონსებული რუსეთის პრეზიდენტისა და აშშ-ის ლიდერის ერთობლივი შეხვედრა, რომლის შესახებაც რუსულმა მხარემ გუშინ განაცხადა.

თეთრი სახლის ინფორმაციით, ბარაქ ობამას ნაცვლად ბრუნეიში შეხვედრასა და აღმოსავლეთ აზიის სამიტს აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ჯონ ქერი დაესწრება.

5 ოქტომბერს ობამას აზიის ოთხ ქვეყანაში ტურნე უნდა დაეწყო. პრეზიდენტი მალაიზიაში, ფილიპინებზე, ბრუნეისა და ინდოენეზიაში უნდა ჩაფრენილიყო.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის ხელმძღვანელი კრისტინ ლაგარდი მიიჩნევს, რომ თუ ამერიკელი პოლიტიკოსები დეფოლტის თავიდან აცილებას ვერ შეძლებენ, მაშინ გლობალურ ეკონომიკას, შესაძლოა, სერიოზული ზიანი მიადგეს.

თუმცა, მსოფლიო ეკონომიკის შესახებ ლაგარდმა შედარებით ოპტიმისტურად ისაუბრა. მისი თქმით, სიტუაცია უკეთესობისაკენ იცვლება არა მხოლოდ ამერიკაში, არამედ ევროზონის ქვეყნებშიც, სადაც მომდევნო წლებში ეკონომიკის 1%-ით ზრდაა ნავარაუდევი. საერთაშორისო სავალუტო ფონდი უახლოესი დღეების განმავლობაში გეგმავს მორიგი პროგნოზის გამოქვეყნებას, სადაც გლობალურ ეკონომიკაში არსებული ვითარება დეტალურად იქნება გაანალიზებული.

როგორც ცნობილია, ბიუჯეტის კანონპროექტის დაუმტკიცებლობის გამო, ამერიკის ფედერალურმა ხელისუფლებამ 800 000 ადამიანი გაურკვეველი ვადით უხელფასო შვებულებაში გაუშვა.

როგორც ამერიკის პრეზიდენტი ბარაქ ობამა აცხადებს, ბიუჯეტის შესახებ კანონპროექტს იმის გამო ვერ იღებენ, რომ რესპუბლიკელები ძლიერ წინააღმდეგობას უწევენ ობამას ადმინისტრაციის მიერ ინიცირებული ჯანდაცვის რეფორმას.

გ. მ.

სომხეთის პრეზიდენტს კაზინოში წაგებულ 70 მილიონ ევროზე ჰკითხეს

„არმენია თუდეის“ ინფორმაციით, სომეხი პარლამენტარი, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში სომხეთის დელეგაციის წევრი, ზარუი პოსტანჯიანი, დელეგაციიდან იმის გამო გაირიცხება, რომ მან პრეზიდენტ სერჟ სარგსიანს კაზინოში 70 მილიონი ევროს წაგების შესახებ დაუსვა შეკითხვა.

აღნიშნულის შესახებ დეპუტატმა პრეზიდენტს სტრასბურგში ასამბლეის სხდომაზე ჰკითხა: „თქვენ აქ სომეხი ხალხის სურვილით კი არა, სომეხი ხალხის ხმების მოპარვით ხართ მოხვედრილი. მე ერთ შეკითხვას დაგისვამთ: იყავით თუ არა ცოტა ხნის წინ ევროპაში კაზინოში და წააგეთ თუ არა იქ 70 მილიონი ევრო? ვინ გადაიხადა ეს თანხა?“ ამას გარდა, პოსტანჯიანმა ასევე განაცხადა, რომ სარგსიანს სომხეთის პრეზიდენტად არ მიიჩნევს.

თავის მხრივ, სარგსიანმა უპასუხა, რომ არასოდეს ყოფილა კაზინოში და მას 70 მილიონი ევრო არასოდეს ჰქონია.

გ. მ.

ჩვენ საყვარელ

ირინა ბალავაძეს

ვულოცავთ დაბადების დღეს!
ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას,
ულევ სიხარულსა და უფლის წყალობას!

„ახალი თაობა“

ექსპერტიზის ბიუროს დელეგაცია ამერიკაში გაემგზავრება

ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ოთხკაციანი დელეგაცია 8-11 ოქტომბერს ამერიკის სასამართლო ექსპერტიზის ხარისხის მენეჯერთა ასოციაციის 12-ე ტრეინინგ-კონფერენციას დაესწრება. ბიუროს ინფორმაციით, კონფერენციაზე საექსპერტო საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებისთვის აუცილებელი საკითხები განიხილება; სასამართლო ექსპერტიზის მიმართულებით სტატიების, წიგნების და მონაცემების პრეზენტაციები მოეწყობა. სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დელეგაცია ამერიკის წამყვანი აკრედიტაციის ორგანოების წარმომადგენლებს შეხვდება; დელეგაციის წევრები სხვადასხვა პროფესიული ტესტირების ორგანიზატორებისა და საერთაშორისოდ აღიარებული მომწოდებელი კომპანიების საქმიანობასაც გაეცნობიან.

ოთხდღიან ტრენინგს ექსპერტიზის ბიუროს წარმომადგენლებთან ერთად მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების ლაბორატორიის ხარისხის მენეჯერები დაესწრებიან, მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მრჩეველი

ნიუსპრესი

საპრეზიდენტო არჩევნებს არაბულ სახელმწიფოთა ლიგის წარმომადგენლებიც დააკვირდებიან

მიმდინარე წლის 27 ოქტომბერს დაგეგმილ საპრეზიდენტო არჩევნებზე დასაკვირვებლად, საქართველოს 23 ოქტომბერს არაბულ სახელმწიფოთა ლიგის დამკვირვებელთა ძირითადი 12 კაციანი ჯგუფი ეწვევა. არაბულ სახელმწიფოთა ლიგის დამკვირვებელთა ოთხკაციანი წინასწარი ჯგუფი ქვეყანას 30 სექტემბრისა და 3 ოქტომბრის პერიოდში სამართლებრივ საკითხებში არაბთა ლიგის გენერალური მდივნის მოადგილის ვაგიუფ საიდ ჰანაფის ხელმძღვანელობით სტუმრობდა. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, მოსამზადებელი ჯგუფის წევრები იუსტიციის მინისტრს, საგარეოსაქმეთა მინისტრის მოადგილეს და შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებს შეხვდნენ. ვიზიტის ფარგლებში მხარეებმა საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიასა და არაბულ სახელმწიფოთა ლიგას შორის ურთიერთგაგების მემორანდუმსაც მოაწერეს ხელი. არაბულ სახელმწიფოთა ლიგის დელეგაცია ასევე პოლიტიკური პარტიების „ქართული ოცნებისა“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებსაც შეხვდა.

ნიუსპრესი

„ივანიშვილი არ დაუშვებს, რომ პოლიტიკიდან არჩევნების გამყალბებლის სახელით წავიდეს“

პოლიტიკური პარტია „დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველოს“ ლიდერმა და პრეზიდენტობის კანდიდატმა ნინო ბურჯანაძემ, გუშინ გრინბერგის კვლევაზე კომენტარი გააკეთა და განაცხადა, რომ ეს, არჩევნების წინასწარი გაყალბებისა და ადამიანებზე ზემოქმედების ძალიან კარგი, აწყობილი სქემაა.

მისივე განცხადებით, ბიძინა ივანიშვილის ზურგს უკან, არჩევნების გაყალბებასთან დაკავშირებით გარკვეული შეთქმულების ქსელი იკვრება.

„ძალიან საინტერესოა, რომ „ქართული ოცნების“ მიერ ჩატარებული შიდა კვლევა, „ენდიაის“ და „გრინბერგის“ კვლევა ერთმანეთს დაემთხვა. თუმცა მე ეს სრულიად არ გამკვირვებია, რადგან ეს, არჩევნების წინასწარი გაყალბებისა და ადამიანებზე ზემოქმედების ძალიან კარგი და აწყობილი სქემაა. რაც შეეხება გრინბერგს, მე სხვას არაფერს ველოდი, რადგან ეს არის ორგანიზაცია, რომელსაც „ნაციონალური მოძრაობა“ ოფიციალურად უხდის თანხას. მე გავიხსენებ ერთ ფაქტს, როდესაც ერთხელ შემთხვევით, ჩემი ხელისუფლებაში ყოფნის დროს, მათ შეეშალათ და მაგიდაზე კვლევის ორიგინალი დამიდეს, სადაც შედეგები სრულიად განსხვავებული იყო. მე ძალიან მაინტერესებს ის მეორე ეგზემპლარი, რომელიც ახლა სააკაშვილსა და ბაქრაძეს უდევთ მაგიდაზე და რომელშიც, მე დარწმუნებული ვარ, რომ ბაქრაძე ნამდვილად ვერ ცდება 10%-იან ზღვარს. მას რეალურად არანაირი შანსი არ აქვს მეორე ადგილზე გასვლისა, ხოლო მე ნამდვილად ვიცი, რომ გამარჯვების ძალიან დიდი შანსი მაქვს, თუ, რა თქმა უნდა, არჩევნები არ იქნება ტოტალურად გაყალბებული.

მინდა გავაფრთხილო ბატონი ბიძინა ივანიშვილი იმასთან დაკავშირებით, რომ მის ზურგს უკან აშკარად იკვრება გარკვეული შეთქმულების ქსელი არჩევნების გაყალბებასთან დაკავშირებით. წინასწარ ხდება ადამიანების შეგუება გაყალბებული არჩევნების შედეგებთან, თუმცა მე დარწმუნებული ვარ, რომ ბიძინა ივანიშვილი არ დაუშვებს იმას, რომ ის პოლიტიკიდან არჩევნების გამყალბებლის სახელით წავიდეს. ამიტომ მან უნდა მიიღოს შესაბამისი ზომები იმისათვის, რომ ის კოჰაბიტაციური გარიგებები, რომელიც „ნაციონალური მოძრაობისა“ და „ქართული ოცნების“ ძალიან მჭიდრო თანამშრომლობაში გადაიზარდა, ნამდვილად იქნას აღკვეთილი და არჩევნები თავისუფალ და დემოკრატიულ გარემოში ჩატარდეს. რეალური და მეტნაკლებად თავისუფალი არჩევნების შემთხვევაში, მე აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ გამარჯვებაში!“– განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

ნიუსპრესი

განცხადებები

● გახდომა-გასუქება 5-15 კგ თვეში, სიმაღლეში ზრდა 5-25 წლამდე მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენებების გარეშე. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (ოფისი), ექ. ქ-ნი სალომე.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311– ქ-ნი მარიამი.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრეებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქვილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქვილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

**იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის**



საბანკო რეკვიზიტები:

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000

თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი
იღუმენია ანა (მუსელიანი)

TV პროგრამა TV პროგრამა TV პროგრამა TV პროგრამა

ოთხშაბათი 7 ოქტომბერი

08.00 დ/ფ "მსოფლიოს ქალაქები" **09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00, 00.00** "მოამბე" **09.10 10** საბ. ან/სერ. "კრიპტო სუპერ ძაღლი" **10.15** საბ. მხ.ფ **"ნილ̇ბის ფ̇ვილი" 12.40** მხ.ფ **"ლ̇ომბ̇ ̇ და ̇ ̇ ̇

პროვოკაცია ჩაიშალა

ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ სპეცოპერაცია ჩაატარეს! — ამტკიცებენ უკრაინელი დეპუტატები

– უკრაინის წინააღმდეგ ნამდვილი სპეცოპერაცია ჩატარდა. ჩვენს ჩრდილოელ მეზობელს სურს, არ დაუშვას უკრაინა-ევროკავშირს შორის ხელშეკრულების დადება, – განაცხადა უკრაინის პარლამენტის დეპუტატმა, პატრიოტული ორგანიზაცია „სვობოდას“ წევრმა ანდრეი ილიენკომ.

საქმე ფიფას გადაწყვეტილებას ეხება. მის თანახმად, უკრაინის ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონატის მორიგი შესარჩევი მატჩი პოლონეთთან მაყურებლის გარეშე უნდა ჩაატაროს. სკანდალი უკრაინა-სან-მარინოს მატჩის გარშემო აგორდა, რომელიც ლვოვში მიმდინარე წლის 6 სექტემბერს გაიმართა.

– ჩვენებმა შეხვედრა ჩინებულად ჩაატარეს და 9:0 გაიმარჯვეს. გულშემატკივრობაც ბრწყინვალე იყო, – ასე აფასებდა ამ მატჩს ცნობილი უკრაინელი ფეხბურთელი ლეონიდ ბურიაკი.

მიუხედავად ამისა, ფიფამ უკრაინელების დასჯა მაინც გადაწყვიტა. ეს ფარეს (საერთაშორისო ორგანიზაცია „ფეხბურთი რასიზმის წინააღმდეგ“) ინსპექტორის ანგარიშმა გამოიწვია. როგორც ცნობილია, ფარე რასიზმისა და ნაციზმის წინააღმდეგ ილაშქრებს და ფიფას მხარდაჭერით სარგებლობს. რუსული მასმედია კარგა ხანია ამტკიცებდა, უკრაინაში ფაშიზმი ძლიერდება, მისი ციტადელი ლვოვიაო. უკრაინა-სან-მარინოს მატჩსაც ფარეს ინსპექტორი დაესწრო. მის ანგარიშში ნათქვამია, რომ ტრიბუნებზე ნაციზმის გამოვლინებას ჰქონდა ადგილი. რუსეთის ტელევიზიამ ამას თავისებური ინტერპრეტაცია მისცა:

– ბანერებზე გამოსახული იყო უკრაინელ ნაციონალისტთა ლიდერის სტეპან ბანდერას, აგრეთვე უკრაინის აჯანყებულთა არმიის სარდლის რომან შუხევიჩის პორტრეტები. მთელი ცივილიზებული მსოფლიო მათ ფაშისტებად მიიჩნევს.

თანახმად ფიფას გადაწყვეტილებისა, უკრაინის ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონატის მორიგი შესარჩევი მატჩი პოლონეთთან მაყურებლების გარეშე უნდა ჩაატაროს. უკრაინის ფეხბურთის ფედერაცია 45 ათასი შვეიცარიული ფრანკით დაჯარიმდა, ლვოვის სტადიონი კი 2019 წლამდე დისკვალიფიცირებულ იქნა. ასეთმა ინფორმაციამ მთელი უკრაინა ფეხზე დააყენა. საქმე ისაა, რომ სტეპან ბანდერა და რომან შიხევიჩი არა მხოლოდ საკუთარი ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის იბრძოდნენ, ისინი ჰიტლერიზმს იარაღით ხელში დაუპირისპირდნენ. თავად ბანდერა ამის გამო ნაცისტებმა ზაკსტენჰაუზენის საკონცენტრაციო ბანაკში გამოამწყვდიეს, მისი ორი ძმა – ვასილი და ალექსანდრე კი 1943 წელს ოსვენციმში ცოცხლად დაწვეს. რაც შეეხება რომან შუხევიჩს, მასზე ნაცისტური უშიშროების სამსახური მთელი ომის მანძილზე ნადირობდა. შუხევიჩის ბრძანებით არა ერთი ნაცისტი სატრაპი სიცოცხლეს გამოასალმეს. აქედან აღსანიშნავია სს-ის გრუპენფიურერისა და ჰაინრიჰ ჰიმლერის პირადი მეგობრის ლუტცეს ლიკვიდაცია. შედეგად შუხევიჩის მოკვლის ან ცოცხლად შეპყრობის ბრძანება თავად ფიურერმა გასცა. ამას გარდა, შუხევიჩმა არაერთი ებრაული ოჯახი გადაარჩინა, უპა-ს რიგებშიც ბევრი ებრაელი იბრძოდა, რადგან ეს როგორც ნაცისტური, ისე სტალინური ტერორისაგან გადარჩენის ერთადერთი საშუალება იყო.

– მოგვიწევს შვეიცარიაში წასვლა, რათა ფიფა-ს ხელმძღვანელობას ისტორიაში პატარა ლექცია წავუკითხოთ. იმედია, ამის შემდეგ ანტიფაშისტებსა და პატრიოტებს ფაშისტებად აღარ მო-

ნათლავენ, – განაცხადა უკრაინის პარლამენტის დეპუტატმა, პატრიოტული ორგანიზაცია „სვობოდას“ წევრმა მიროშნიჩენკომ.

ფიფა უკრაინელი დეპუტატის გამოსვლას უმალ გამოეხმაურა და რუსეთის ტელევიზიით გავრცელებული ინფორმაცია უარყო. „ბანდერა და შუხევიჩი არაფერ შუაშია, – ნათქვამია განცხადებაში, – ისინი რომ ანტიფაშისტები იყვნენ, მთელ მსოფლიოშია ცნობილი. საუბარია ნაციზმის კონკრეტულ გამოვლინებებზე, როდესაც ტრიბუნიდან „ზიგ ჰაილს“ სკანდირებდნენ“.

ამან ცეცხლზე ნავთი დაასხა.

– ლვოველი გულშემატკივარი თავისი ტოლერანტობით განთქმულია, – განაცხადა ანდრეი ილიენკომ, – ყველანი აღტაცებაში მოვდივართ სამშობლოს სიყვარულის იმ მასობრივი გამოვლინებით, რასაც ლვოვის სტადიონზე აქვს ხოლმე ადგილი, ეს უკრაინა-სან-მარინოს მატჩსაც ეხება.

უკრაინულმა ტელეარხებმა აღნიშნული მატჩის ვიდეოტრანსლაცია საგანგებოდ აჩვენეს. მართლაც, რასიზმის გამოვლინებას ადგილი არსად არ ჰქონია. ცნობილმა ტელეწამყვანმა სავიკ შუსტერმა ეს „ინტერის“ ეთერიდან საგანგებოდ აღნიშნა. პასუხად უკრაინის კომპარტიის ლიდერმა სიმონენკომ განაცხადა:

– ტრიბუნებიდან „ზიგ ჰაილს“ სკანდირებდნენ! ამას გარდა, ააფრიალეს ფაშისტური დროშები, ზოგიერთი გულშემატკივარი ფაშისტურ სიმბოლიკასაც იყენებდა!

მან აღშფოთება კიდევ უფრო გაზარდა. საქმე ისაა, რომ ტრიბუნებზე ეროვნული ლურჯ-ყვითელი დროშები ფრიალებდა. გულშემატკივრებსაც თავიანთ ტანსაცმელზე სამკაპა ანუ უკრაინის ეროვნული გერბი ჰქონდათ გამოსახული.

– ბატონი სიმონენკო უკრაინულ ეროვნულ დროშას ფაშისტურად მიიჩნევს, ეროვნულ გერბს კი – ნაცისტურ სიმბოლიკად! ისმის კითხვა, ვისზე მუშაობენ სიმონენკო და მისი პარტია? – განაცხადა უმაღლესი რადის დეპუტატმა და ორგანიზაცია „სვობოდას“ წევრმა მიროშნიჩენკომ.

კომპარტიის ლიდერმა ამაზე უპასუხა, რომ მხედველობაში ჰქონდა არა ეროვნული, არამედ წითელ-შავი დროშა, რომელიც ასევე ტრიბუნაზე ფრიალებდა. „ეს ნაცისტური დროშაა!“ – ამტკიცებდა კომუნისტების ლიდერი, თუმცა ამის გაბათილებაც ძალზე სწრაფად მოხდა:

– წითელ-შავი დროშა პირველად საფრანგეთის რევოლუციის დროს გამოიყენეს. რობესპიერი, მარატი და დანტონი ამ დროშის ქვეშ იბრძოდნენ. შემდეგ ეს ბანდერელთა ორგანიზაციის დროშა გახდა, ორგანიზაციისა, რომელიც მე-20 საუკუნის ორ უდიდეს ურჩხულს – სტალინსა და ჰიტლერს დაუპირისპირდა! – განაცხადა ანდრეი ილიენკომ.

ასევე გაბათილდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ტრიბუნიდან „ზიგ ჰაილს!“ სკანდირებდნენ. მატჩის ვიდეოჩანაწერის გულმოდგინე შესწავლისას დადასტურდა, რომ ტრიბუნებიდან სკანდირებდნენ „ზიგრაი!“ (ითამაშე!) ვიღაცამ ეს ზიგ ჰაილად გაასაღა. ამრიგად გამოიკვეთა ფრიად საინტერესო სურათი. მავანმა ძალებმა ფიფას დეზინფორმაცია შეგნებულად მიაწოდეს.

– მიზანი მარტივია. ისინი ცდილობენ დაამტკიცონ, რომ უკრაინაში ფაშიზმი ყვავის და ჩვენი ევროპასთან დაახლოებაც არ შეიძლება, – ამტკიცებს ანდრეი ილიენკო.

მისი კოლეგა მიროშნიჩენკო უფრო შორს წავიდა:

– ამის უკან რუსეთი დგას, – განაცხადა მან, – უკრაინის წინააღმდეგ მორიგი სერიოზული პროვოკაცია განხორციელდა. საინტერესოა, ვინ არის ფარეს ინსპექტორი, რომელმაც ფიფა შეცდომაში შეიყვანა?

„სვობოდამ“ აღნიშნული შემთხვევის გამო კერძო გამოძიება ჩაატარა. ამ დროს დადგინდა, რომ ფარეს ინსპექტორი, რომელმაც ფიფას ლვოვის სტადიონზე ნაციზმის გამოვლინების შესახებ აცნობა, ვინმე პავლე კლიმენკო გახლდათ. ადრე ის ცნობილი საფეხბურთო ხულიგანი და კიევის კლუბ „არსენალის“ ფანი გახლდათ. უკრაინაში ყველამ იცის, რომ „არსენალის“ ფანები გამოირჩევიან უკრაინოფობიით, სძულთ აშშ, ევროპა, სამაგიეროდ უყვართ რუსეთი, ამხანაგი სტალინი და ვლადიმერ პუტინი.

– ფარეს ინსპექტორი, რომელმაც ჩვენები რასიზმში დაადანაშაულა, პოლიტიკურად ანგაჟირებული პიროვნებაა. მეტიც, ის ანტიუკრაინულ ძალებს განეკუთვნება და მათზე მუშაობს, – ამტკიცებს ლვოვის ქალაქის საბჭოს დეპუტატი სკიბა.

დეპუტატ მიროშნიჩენკოს აზრით, კლიმენკოს უკან „გაზპრომი“ იდგა. მთელი სპეცოპერაციაც „გაზპრომის“ ფულით იყო დაფინანსებული.

– ყველაფერს ამას ჩვენმა ზოგიერთმა მაღალი რანგის ჩინოვნიკმა თუ პოლიტიკოსმა ხელი შეუწყო. მიზეზი მარტივია: მათ რუსეთში ბიზნესი აქვთ, კარგ ფულს შოულობენ, მოსკოვთან ურთიერთობის გაფუჭებაც არ სურთ, – ამტკიცებს მიროშნიჩენკო.

უკრაინის ფეხბურთის ფედერაციამ ფიფას გადაწყვეტილება გააპროტესტა, თუმცა ფედერაციის პრეზიდენტი, წარსულში ცნობილი ფეხბურთელი ანატოლი კონკოვი ამისაგან დიდ შედეგს არ მოელოდა.

– 11 ოქტომბრამდე ცოტა დრო რჩება. მართალია, აშკარა ფაქტების წინაშე ფიფა თავის გადაწყვეტილებას აუცილებლად გააუქმებს, მაგრამ როდის მოხდება ეს? – განაცხადა კონკოვმა

მან აღნიშნა, რომ, სავარაუდოდ, 11 ოქტომბერს უკრაინის ნაკრებს თამაში ცარიელი ტრიბუნების წინაშე მოუწევს.

– ჩვენი გუნდის მწვრთნელი მიხეილ ფომენკო გამოცდილი კაცია, ვიმედოვნებ, რომ იპოვის სიტყვებს, რათა ფეხბურთელები საბრძოლველად განაწყოს, – თქვა კონკოვმა.

ცნობილი უკრაინელი საფეხბურთო ფუნქციონერი, ამჟამად კი უეფას ერთ-ერთი ხელმძღვანელი გრიგორი სურკისი უფრო ოპტიმისტურად იყო განწყობილი. ჟურნალისტებთან საუბარში მან განაცხადა, რომ სამართლიანობამ უნდა გაიმარჯვოს. სურკისმა ხაზი გაუსვა, რომ ფიფამ გადაწყვეტილება ნაჩქარევად მიიღო და მისი არაობიექტურობა კონკრეტული ფაქტებით დამტკიცდა. „მოკლე დროში ფიფას გადაწყვეტილების გაუქმება შეუძლებელია, მაგრამ მისი შეჩერება შეიძლება,“ – იტყვის სურკისი. სწორედ მისი აქტიური ძალისხმევით ეს მოხერხდა:

– 11 ოქტომბრის მატჩს პოლონეთთან ჩვენი ნაკრები მაყურებლის თანდასწრებით გამართავს. ფიფამ ადრე მიღებული გადაწყვეტილება შეაჩერა, – იტყობინება ტელეკომპანია „ინტერი“.

ამრიგად, პროვოკაცია ჩაიშალა. ახლა გაცილებით აქტუალურია მეორე საკითხი: კონკრეტულად ვინ იდგა ხსენებული პროვოკაციის უკან? ეს კითხვა როგორც უკრაინაში, ისე პოლონეთშიც აქტუალურია. წარსულში ცნობილმა პოლონელმა ფეხბურთელმა ზბიგნევ ბონეკმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა:

– მაინტერესებს, მთელი ეს ცირკი ვის აწყობდა?

პატრიოტულმა ორგანიზაცია „სვობოდამ“ უკრაინის უშიშროების სამსახურს სპეციალური მიმართვა გაუგზავნა და მომხდარი ფაქტის გარშემო გამოძიების ჩატარება მოსთხოვა. უდავოა, რომ ვილნიუსის სამიტის მოახლოებასთან ერთად, პროვოკაციებიც გაიზრდება, ეს კი როგორც უკრაინის მთავრობის, ასევე მთელი საზოგადოების კონსოლიდაციას მოითხოვს.

ნიკა თევზაძე

ვიზიტორთა რაოდენობა გაიზარდა

საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე გადაადგილებულ ვიზიტორთა რაოდენობა მიმდინარე წლის სექტემბერში, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 15,1 %-ითაა გაზრდილი.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრის სტატისტიკური მონაცემებით, 2013 წლის სექტემბერში 507 082 ვიზიტი დაფიქსირდა.

რაც შეეხება მიმდინარე წლის იანვარ-სექტემბრის ინტერვალს, ქვეყანაში უკვე 4 075 600 ვიზიტი განხორციელდა, რაც 25%-ით მეტია 2012 წლის ანალოგიური საანგარიშო პერიოდის მაჩვენებელზე და 2012 სრული კალენდარული წლის მონაცემებს (92%) თითქმის გაუტოლდა. აქედან, ტურისტი – 1 614 712 ვიზიტი (საერთო რაოდენობის 39,6%, მატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან 18%); ტრანზიტი – 886 504 ვიზიტი (საერთო რაოდენობის 21,8%, მატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან 59%); სხვა – 1 574 384 ვიზიტი (საერთო რაოდენობის 38,6%, მატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან 18%).

სტატისტიკური მონაცემებით, 2013 წლის სექტემბერში საქართველოში ყველაზე მეტი ვიზიტი კვლავ თურქეთიდან (-7,3%), აზერბაიჯანიდან (+10,9%), სომხეთიდან (+30,5%), რუსეთიდან (+42,1%), უკრაინიდან (+62,1%) და ირანიდან (-26%) განხორციელდა. ასევე, პოზიტიური ტენდენცია ნარჩუნდება ევროკავშირის ქვეყნების მიმართულებიდან, საიდანაც ჩამოსვლის რაოდენობის ზრდის კუთხით, იანვარ-სექტემბერში, უკვე „ტრადიციულ“ პოლონეთი-ჩეხეთი-ავსტრიასთან ერთად, გამოირჩნენ საფრანგეთი, იტალია და გერმანია (შესაბამისად – 65%, 32%, 28%, 19%, 18% და 16%), შუა აზიის ქვეყნებიდან – ყაზახეთის (39%), ახლო აღმოსავლეთიდან – ისრაელის (35%), ხოლო აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან კი – ბელორუსის მოქალაქეების 60%-იანი მატებით.

შსს-ს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრის ინფორმაციით, სახელმწიფო საზღვრის კვეთასთან მიმართებაში, აღსანიშნავია საქართველოს მოქალაქეთა აქტივობის ზრდაც, რაც მიმდინარე წლის პირველ 9 თვეში 23,2 (შემოსვლა) და 24,3 (გასვლა) პროცენტიან მატებაში გამოიხატა.

მედიანიუსი

სამგლოვიარო განცხადებები

ოთარ ჩახუნაშვილი თანაგრძნობას უცხადებს ცინცაძეების ოჯახის წევრებსა და ახლობლებს

ანზორ ცინცაძის

გარდაცვალების გამო.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. პლაჟი რიო დე ჟანეიროში; 2. შენიშვნა, დამატებითი განმარტება ტექსტში; 3. ადგილი, სადაც არის ბუნებრივი პირობები მკურნალობისა და დასვენებისთვის; 4. ცხენის ერთგვარი სვლა; 5. ატომური ბომბით დანგრეული ქალაქი იაპონიაში; 6. ნავსადგური ყირიმში; 7. სარწმუნოება ანუ...; 9. ფულის ერთეული ერაყში; 13. აღმოსავლურ საკრავებზე დამკვრელთა ანსამბლი; 17. უკრაინის პარლამენტი; 18. დიდი მახრჩობელა გველი.

თარაზულად: 1. გარემოში საორიენტაციო ხელსაწყო; 3. დაბა დაღესტანში, ლითონის მხატვრულად დამუშავების ცენტრი; 8. ქორწინების ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 10. მზის სისტემის პლანეტა; 11. სახალხო მთქმელი შუა აზიაში; 12. ლიხტენშტეინის მმართველთა ტიტული; 14. ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტა; 15. ჩინეთში წარმოშობილი ქაღალდებიდან ფიგურების შექმნის ხელოვნება; 16. სპორტული გაზეთი ესპანეთში; 19. სახელმწიფო არაბეთის ნახევარკუნძულზე; 20. სითბოს რაოდენობის საზომი ერთეული; 21. პურის მცხობელი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოიდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. „პეჟო“; 2. „აია“; 3. მაკიაველი; 4. ქანდა; 5. მეჯლისი; 8. კოპი; 9. „ჩაკრულო“; 10. ინჟინერი; 12. კოდორი; 13. გროგი; 15. ამირა.

თარაზულად: 1. პირანია; 4. მახარაძე; 7. ჟოკეი; 10. იტილი; 11. სპორა; 13. გორდი; 14. შტაბი; 16. ოქრო; 17. ოთხვისი; 18. ლეკალო.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. მონტევიდეო; 2. დურუჯი; 3. ბერინგი; 4. „ლაციო“; 5. დანსინგი; 6. ფარსი; 7. ვერმუტი; 9. რატილი; 13. ტორფი; 17. ალჩუ; 18. უფა.

თარაზულად: 1. მეოტიდა; 3. ბაცილა; 8. ბაზაძე; 10. „სურჩინა“; 11. კენტი; 12. კოკაინი; 14. მიქლიო; 15. ტრიტონი; 16. გრაფი; 19. „ტიფანი“; 20. პოლიცია; 21. „პოპული“.

ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

5 ოქტომბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი	1,6623
ევრო	2,2471
ინგლისური გირვანქა სტერლინგი	2,6938
100 რუსული რუბლი	5,1469

ამინდის პროგნოზი 5 ოქტომბრისთვის

მალე!

ქართული დეტექტივი

ტომი 3

იორამ ჩადუნელი

საზღაური

უკვე გამოსულია

ტომი 1. მგლის ბილიკი

ტომი 2. შავი კარდი

მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები



მალე! მალე! მალე! მალე!

„ახალ თაობასთან“ ერთად

ტომი 4

ფრანგული ზღაპრები

მათთვის, ვინც ვერ მოახერხა წინა სამი ტომის შეძენა



20 სექტემბრიდან გაიყიდება ტომი 1 ამერიკული ზღაპრები

24 სექტემბრიდან გაიყიდება ტომი 2 ჩეხური ზღაპრები

27 სექტემბრიდან გაიყიდება ტომი 3 ბრაზილიური ზღაპრები

ასტროპროგნოზი

ყველამ გაითვალისწინეთ!

5 ოქტომბერი – მშვენიერი დღეა

ვერძი – დიდი სიხარული გელით. **კურო** – ფული გაქვთ, პრობლემა არ გაწუხებთ. **ტყუპები** – ის საქმე აკეთეთ, რაც მოგწონთ. **კირჩხიბი** – ახალი საქმე გაამართლებს, იაქტიურეთ. **ლომი** – დიდი წინსვლა გელით, გახარებული ხართ. **ქალწული** – რომანტიკული თავგადასავალი კარგ ხასიათზე დაგაყენებთ. **სასწორი** – ფული გაქვთ, კიდევ დაგიმატებენ. **ღრიანკალი** – ახალ ცხოვრებას იწყებთ, ყველაფერი კარგად იქნება. **მშვილდოსანი** – ახალ მწვერვალებს დაიპყრობთ, გილოცავთ! **თხის რქა** – პირად ცხოვრებაში სიახლეა, სანუკვარი ოცნება აგისრულდებათ. **მერწყული** – მთლიანობაში ჰარმონიული დღეა, დიდი ხნის ოცნება აგისრულდებათ. **თევზები** – პრობლემები არ გაწუხებთ, ბრწყინვალე ფორმაში ხართ.

6 ოქტომბერი – ნახმატებული დღეა

ვერძი – სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **კურო** – არ აჩქარდეთ, საქმე ბოლომდე მიიყვანეთ. **ტყუპები** – შემოქმედებითი დღეა, უფროსობა გწყალობთ. **კირჩხიბი** – ყურადღების ცენტრში ხართ და ეს მოგწონთ. **ლომი** – ფული გაქვთ, პრობლემები არ გაწუხებთ. **ქალწული** – დაისვენეთ მყუდრო გარემოში, ასე აჯობებს. **სასწორი** – ჩაფიქრებული ხართ, საკითხს აანალიზებთ. **ღრიანკალი** – დამშვიდდით, ყველაფერი კარგად იქნება. **მშვილდოსანი** – სანამ გადაწყვეტილებას მიიღებთ, კარგად დაფიქრდით. **თხის რქა** – ნურავის ენდობით, ინტუიციას დაეყრდენით. **მერწყული** – სხვას ნუ დაადანაშაულებთ, პასუხი თავად იპოვეთ. **თევზები** – მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ტოკიოს ძველი სახელწოდება; 2. მოწონების, გამამხნევებელი შეძახილი კორიდაზე; 3. პანიკური ჭორების გამავრცელებელი ადამიანი; 4. მუსლიმანური კალენდარი; 5. ჩანჩქერი აშშ-კანადის საზღვარზე; 8. გემის მზარეული; 9. მე-16 საუკუნის გერმანელი მხატვარი; 10. ორგანიზმის მემკვიდრეობითობის შემსწავლელი ბიოლოგიის ნაწილი; 12. ქალაქი-მუზეუმი საქართველოში; 13. ქიმიური ელემენტი, ინერტული აირი; 15. ხელოვნური წყალსაცავი დასავლეთ საქართველოში.

თარაზულად: 1. ჩაღრმავებულ გამოსახულებიანი ძვირფასი ქვა; 6. ფილტვების დაავადება; 7. ჩეხეთის ფეხბურთელთა გუნდი; 10. კუთხე საქართველოში; 11. სახალხო მთქმელი შუა აზიაში; 13. ტბა ბათუმში; 14. აქლემის ბეწვისგან მოქსოვილი ხალიჩა; 16. ფულის საერთაშორისო ერთეული; 17. გამკვრივებული თევზის ნარჩენებისგან მიღებული ზეთისებრი სამკურნალო ნივთიერება; 18. მთიანეთი შუა აზიაში.

შეადგინა თ. გოგინაშვილმა



საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საგანგებო განცხადება

უკანასკნელი დღეების განმავლობაში, სოფელ დიცსა და დვანში განვითარებული მოვლენების გამო, ჩვენ, როგორც საქართველოში ფეხბურთის მმართველმა უპირველესმა ორგანომ, საჭიროდ მივიჩნიეთ, ჩვენი მოქალაქეობრივი პოზიცია დაგვეფიქსირებინა იმ განუზომელი ბოროტების წინააღმდეგ, რაც ამ ქართულ სოფლებში რუსი ოკუპანტების მიერ ხორციელდება.

ფეხბურთი ყოველთვის იყო ერებისა და ხალხების გამაერთიანებელი სპორტის სახეობა, რომელშიც ადგილი არ ჰქონდა ეროვნებისა და პოლიტიკური კუთვნილების მიხედვით ხალხის დაყოფასა და ჩაგვრას. ქართული ფეხბურთის უდიდესი თარიღი – 1981 წლის 13 მაისი, სწორედ, ორმა დიდმა ქართველმა – ეროვნებით აფხაზმა ვიტალი დარასელიამ და ეროვნებით ოსმა ვლადიმერ გუცაევმა შექმნეს, დღეს დიცსა და დვანში განვითარებული მოვლენები კი ჩვენი, როგორც საქართველოს რიგითი მოქალაქეების აღშფოთებასა და წუხილს იწვევს.

ქართულ სოფლებში მცხოვრები მოქალაქეების მხარდასაჭერად და სოლიდარობის მიზნით, საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მე-8 ტურის მატჩები, რომლებიც 6 ოქტომბერს გაიმართება საქართველოს ექვს ქალაქში – რუსთავში, ქუთაისში, ქობულეთში, განმუხურში, მარტვილსა და მცხეთაში ჩატარდება, ლოზუნგით „დიცი და დვანი საქართველოა“.

ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის თორმეტივე გუნდის ფეხბურთელები მატჩებს სწორედ ამ წარწერის მქონე მაისურებით დაიწყებენ და ეს იქნება ქართული საფეხბურთო ოჯახის ხმამაღალი პოზიცია და სოლიდარობა დიცისა და დვანის მოსახლეობის მიმართ.

გ. ჟ.

პუტინმა მედვედევს „ბრიყვი“ უწოდა

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა არქტიკაში რუსეთის ყოფნის გაფართოებაზე ისაუბრა და ეკონომიკის უმაღლესი სკოლის პროფესორ სერგეი მედვედევს „ბრიყვი“ უწოდა, რომელმაც გააკეთა განცხადება იმის შესახებ, რომ არქტიკის მმართველობა საერთაშორისო საზოგადოებას უნდა გადაეცეს.

„ბრიყვი“, – განაცხადა პუტინმა პარტია „ედინაია როსიას“ წევრებთან შეხვედრისას.

პუტინმა განაცხადა, რომ ნორვეგიის სანაპიროსთან აშშ-ის ატომური წყალყვეშა გემები იმყოფებიან.

„ამერიკული რაკეტების ფრენის დრო მსოფლიოს ამ რეგიონიდან მოსკოვამდე 16-17 წუთია და ამ პირობებში ისაუბრო იმაზე, რომ რეგიონი ვიღაცის მმართველობის ქვეშ გადავიდეს სრული სიბრიყვეა. ეს ანტისახალხო პოზიციაა, რომ აღარაფერი ვთქვა ანტიპატრიოტულზე“, – განაცხადა პუტინმა.

მისივე თქმით, არქტიკა რუსეთის ფედერაციის განუყოფელი ნაწილია და ქვეყნის სუვერენიტეტის ქვეშ უკვე რამდენიმე საუკუნეა იმყოფება.

„ეს ასეც იქნება მომავალშიც“, – განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა.

თავად სერგეი მედვედევი ვლადიმერ პუტინის ამ შეფასებას „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე გამოეხმაურა და განაცხადა, რომ პუტინის მხრიდან პირად შეურაცხყოფას ჯილდოდ მიიჩნევს.

არქტიკა, დედამიწის ჩრდილოეთ პოლარული მხარე, მოიცავს ევრაზიისა და ჩრდილოეთ ამერიკის განაპირა ნაწილებს, თითქმის მთელ ჩრდილოეთ ყინულოვან ოკეანეს (ნორვეგიის ზღვის აღმოსავლეთი და სამხრეთი ნაწილების გამოკლებით) კუნძულებით (გარდა ნორვეგიის სანაპირო კუნძულებისა), აგრეთვე ატლანტისა და წყნარი ოკეანეების მომიჯნავე ნაწილებს.

გ. მ.

ისრაელი პასუხობს ევროპას, რომელმაც წინადაცვეთის საწინააღმდეგო რეზოლუცია მიიღო

ისრაელის საგარეო უწყებამ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეას მოუწოდა, დაუყოვნებლივ უარყოს მიღებული რეზოლუცია, რომლის თანახმად, წინადაცვეთა ითვლება ადამიანის უფლებების დარღვევად, კერძოდ, ბავშვების უფლებისა ფიზიკურ ხელშეუხებლობაზე.

„ბიჭების წინადაცვეთა იუდაიზმსა და ისლამში უძველეს რელიგიურ ტრადიციას წარმოადგენს, ასევე გავრცელებულია ზოგიერთ ქრისტიანულ წრეში. ამ ტრადიციის ნებისმიერი შედარება ქალური გენიტალიის დაზიანების ბარბაროსულ პრაქტიკასთან, უკეთეს შემთხვევაში – ხაზგასმულ უპატივცემულობას, ხოლო უარეს შემთხვევაში ცილისწამებასა და რელიგიური შეუწყნარებლობის გამოვლენას წარმოადგენს“, – ნათქვამია სამინისტროს განცხადებაში.

2012 წლის ნოემბერში გაერომ მიიღო რეზოლუცია, რომელიც „ქალურ წინადაცვეთას“ კრძალავს.

ისრაელის საგარეო უწყება მიუთითებს, რომ წინადაცვეთით ბიჭების ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენებაზე გავრცელებული მოსაზრება მცდარია და სამეცნიერო ფაქტებს ეწინააღმდეგება. როგორც „ნიუსრუ ისრაელი“ აღნიშნავს, მხოლოდ 2012 წლის აგვისტოში აშშ-ის პედიატრთა ასოციაციამ მამრობითი სქესის პატარების წინადაცვეთის უპირატესობებზე ოფიციალური ანგარიში გამოაქვეყნა.

– მიღებული რეზოლუცია ჩრდილს აყენებს ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეას და ევროპაში სიძულვილის გაღვივებისკენ და რასისტული ტენდენციებისკენ მივყავართ, – აცხადებენ ისრაელში.

გ. მ.

ლურჯი წითელი ყვითელი შავი